“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№11 (263)
ნოემბერი
2020 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეორე წელი

”LITERATURULI MESKHETI”

იაკობ გოგებაშვილი - 180

სახელმძღვანელოების შესახებ

სახელმძღვანელო წიგნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლების მსვლელობაში. ყოველი მიმართულება ამ საქმეში ცოტად, თუ ბევრად უძლურია, უფესვო და წარმავალი, ვიდრე იგი არსებობს მხოლოდ პროგრამებში, პლანებში და არ არის განხორციელებული სახელმძღვანელოებში. ამ მდგომარეობაში მყოფი მიმართულება პირველივე წინააღმდეგი მოძრაობის, პირველივე მოპირდაპირე ქარის მსხვერპლი შეიქმნება ხოლმე, მაგრამ თუ რომელიმე მიმართულება გადვიდა პროგრამებიდან, პლანებიდგან სამოსწავლო წიგნებში, იგი ღრმათა სდგავს ფესვებს, შეიძენს სიმტკიცეს და მისი აღმოფხვრა ძალიან ძნელი ხდება. ამ სახით სახელმძღვანელო ორპირი ბასრი ხანჯალია, რომელსაც შეუძლიან დიდი სიკეთეც დათესოს და დიდი სიბოროტეც ჩანერგოს სკოლის და ხალხის ცხოვრებაში. თუ მასში იხატება საღი, გონიერი მიმართულება, დამკვიდრებული პედაგოგიურს და ეროვნულს პრინციპებზედ, სახელმძღვანელო აყენებს სწავლას სწორე და მტკიცე გზაზედ, აწარმოებს მას ნაყოფიერად და უნევს დიდს სამსახურს სკოლასაც და საზოგადოებასაც. მაგრამ თუ იგი ასცდენია პედაგოგიურს დედა-აზრსა, მოსწყვეტია ეროვნულს ნიადაგს და ემსახურება რომელსამე უკუღმართს მიმართულებასა, ხალხის განათლების მაგიერ, მაშინვე სახელმძღვანელო შეადგენს სკოლისათვის და ხალხისათვის ნამდვილს საწამლავსა.

ამ გვარი მნიშვნელობა სახელმძღვანელოებისა იყო იმის მიზეზი, რომ ყოველს ცოტაოდნად მაინც შეგნებულს ქვეყნებში მუდამ დიდს ყურადღებას აქცევდნენ მათ. ნასწავლთა დასი, რომელიც წინამძღოლია და გზის გამკვლევი ხალხისა, ყოველთვის სიფრთხილით იქცეოდა ამ საქმეში, მეტადრე იმ ქვეყნებში, სადაც სკოლა სურდათ გაეხადათ პოლიტიკურ იარაღად. იგი იყო დაუძინებელი მცველი პედაგოგიურის და ეროვნულის პრინციპებისა და არც ერთს სახელმძღვანელო წიგნში მას ვერ შეეპარებოდა უკუღმართი მიმართულება... დედა-ენის სახელმძღვანელოებს ვრცელს საფუძველზედ აყენებდნენ, ფართო თვისებას აძლევდნენ მაშინაც კი, როდესაც ზემო სფერათა მიმართულება თხოულობდა მის ვიწრო კალაპოტში მოქცევასა; სახელმწიფო ენის სახელმძღვანელოებს ადგენდნენ ისე, რომ შეუძლებელი გაეხადნათ მისი დაწყება, ვიდრე დედა-ენას, სამშობლო წერა-კითხვას და გრამატიკას არ შეისწავლიდნენ მოსწავლენი, ვისაც დაახლოებით აქვს გაცნობილი ხალხის განათლების თავ-გადასავალი, მაგალითად სლავიანთა ტომთა და ვენგრიელთა შორის ავსტრიის იმპერიაში, იმან კარგად იცის, რავდენად მართალია ჩვენი სიტყვები.

სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლიან დავიკვეხოთ ამ დიდ მნიშვნელობიან საქმეში ფხიზელი შეხედულება და ჯეროვანი სიფრთხილე, ჩვენგანი ბევრი არ ხელმძღვანელობს ნათელი აზრით, ჩვენ შორის ბევრმა არ იცის განვითარებით, თუ რას უნდა ემსახურებოდეს რომელიმე სახელმძღვანელო და რას უნდა ერიდებოდეს.

ამიტომაც ხდება, რომ ერთი ადგენს ქართულს ანბანს და წასაკითხავ წიგნსა ოსურ-აბხაზურს სისტემაზედ, საიდგანაც ქართული ანბანი გამორიცხულია, მეორე ბეჭდავს არითმეტიკას და ორი ათეულით ათავებს მთელს კურსსა – ქართულს ენაზედ ამ საგნიდგან მეტი არ უნდა ისწავლებოდესო, მესამე სთარგმნის რუსულიდგან სახელმძღვანელოს ისე, რომ ნახევარი სიტყვები რუსული რჩება ისევა, მეოთხე ადგენს სახელმძღვანელოს უკუღმართ პროგრამაზედ. კიდევ კარგი, რომ თვითონ ჩვენი საზოგადოება და ლიტერატურა ფხიზლობს და საზოგადო აზრის მოძრაობა იმდენად ძლიერია, რომ ამ უკუღმართ მოვლენათა მოქმედებას აქარწყლებს, სპობს და მათ კვალს სრულიად შლის.

ყველაზედ მავნებელი ეს მიმართულება მაშინ არის, ვიმეორებ, როდესაც იგი ხორციელდება სამოსწავლო წიგნში, სახელმძღვანელოში, როდესაც რომელიმე სკოლას ჰყავს მასწავლებელი, ამ მიმართულებით დამახინჯებული, მაშინ ვნება, ამ გვარი პირისა თავდება ამ სკოლით; მაგრამ თუ ეს პირი ადგენს რაიმე სამოსწავლო წიგნსა სკოლებისათვის, მაშინ იგი ყოველს სკოლას სწამლავს იმავე სენითა, რომელიც მისდამი მინდობილს სკოლას ტანში გასჯდომია.

ზოგს კარგად შეუგნია ესა და სცდილობს სრულიად განთავისუფლდეს ჩანერგულ მიმართულებისაგან, სწავლობს ხალხის განათლების მსვლელობას უცხო ქვეყნებში.

მაგრამ ბევრი სრულიად მოკლებულია ამგვარს შეგნებასა, მას არც განვითარება, არც სწორე მიმართულება მიაჩნია საჭიროდ საზოგადო მოქმედებისათვის. მას ჰგონია, რომ კაცს მხოლოდ თავისი გამოჩენის სურვილი უნდა ჰქონდეს, სხვა არაფერი და რადგანაც მათ მხოლოდ ის იციან, რასაც იმათ ასწავლიდნენ და როგორც ასწავლიდნენ, ამიტომ იგინი არიან სრულნი მონანი ჩანერგულ მიმართულებისა.

ვათავებთ ამჟამად ჩვენ სიტყვას სურვილითა, რომ მეორეებს აერჩიოთ პირველების გზა და მათი მაგალითის მიხედვით ნაებაძოთ სახარების ცხრათა ბრძენთა ქალწულთათვის, რომელთაც სასიძოს გზის განათებისათვის შეაგროვეს ჯერ საკმარისი წმინდა ზეთი და შემდეგ გავიდნენ მოსაგებებლად.

იაკობ გოგებაშვილი

ცამშობლოცდმი



თუ სამშობლოს სიყვარული დანაშაულია, ჩათვალეთ, რომ საშინელი დამნაშავე ვარ. დამნაშავე იმდენად, რომ ფორმა ჩემი შენდობის ამ წუთისოფელში არ მოიპოვება. თუ ხელიდან გეცლება სამშობლო და ხმის ამოღება დანაშაულია, ჩათვალეთ, რომ საშინელი დამნაშავე ვარ. სამშობლო ჩემთვის, განსხვავებით მრავალთაგან, უფრო დიდია, ვიდრე ერთად აღებული მთელი სამყარო. თუ ეს სასაყვედურია, უფლება გაქვთ, რომ მისაყვედუროთ. თუკი ვინმე ჩემს შემოქმედებაში ნახავს თუნდაც ერთ სტრიქონს მფეთქავს სიყვარულის გარეშე, მე მზად ვარ ყველაზე შეურაცხმყოფელი დამცირება ავიტანო, მაგრამ თუ ვგრძნობ ჩემი ქართველობის გადაშენებას, ვერანაირი ძალა ვერ შესძლებს ჩემს დადუმებას, რადგან „სამშობლო როგორც უფალი, ჩემთვისაც ერთია ქვეყანაზედა“. როცა „ვარსკვლავის ციხე“ იწერებოდა, საკმაოდ მძლავრი იყო კომუნისტური რეპრესიების მანქანა, არც მაშინ დამიხევია უკან, როცა ვხედავდი ჩემს მამულს დაბეჩავებულ მდგომარეობაში. ასეთ მდგომარეობაში მყოფ სამშობლოს მოვეფერე ლექსით „მე შევცვალე მთვარე წუხელ“ და არასდროს შევუწუხებივარ სინდისს, რომ ამ ლექსით რომელიმე მხარის პოზიციას გამოვხატავდი, რადგან სამშობლო ყველაზე წმინდა ხატია, რაც წუთისოფლიდან გულზე მესვენა. ახლაც, როცა დაიწერა ლექსები „არაგველებო სამშობლო გეძებთ“, „ბღავილი ამყვა ამ დილით“ თუ თქვენს სატკივარს არაფრით ეხმიანება, უამრავ სატკივართან ერთად მე მომკერძეთ, რადგან ტკივილების ზიდვას არასდროს გავქცევივარ.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ბედნიერი ვარ, რომ ტკივილი ჩემი მამულისა უდიდესი ენერგიაა, რომელიც ჩემს გულსა და გონებას ამოძრავებს. ბედნიერი ვარ, რომ ღირსმყო სამშობლომ მის მაჯისცემაზე ყურმიდებულს მევლო ამ მეტისმეტად მღვრიე სამყაროში.

ტარიელ ხარხელაური

„შოთაობა“ ასპინძაში და საპატიო ასპინძელებში

„კორონა-ვირუსის“ პანდემია კიბოს მეტასტაზებივით მოედო აბსოლუტურად ყველა სფეროს, რომელმაც კაცობრიობა უდიდესი პრობლემების წინაშე დააყენა და რომლის მსგავსი მოვლენა მსოფლიო უახლეს ისტორიას არ ახსოვს. პრობლემები კულტურის სფეროსაც განსაკუთრებით შეეხო და სწორედ ამიტომ ბევრი მასობრივი ღონისძიება ვერ ჩატარდა, ან „ონლაინში“ გაიმართა.

მიმდინარე წელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წელი უნდა ყოფილიყო ასპინძელებისთვისაც იმ თვალსაზრისით, რომ დაგეგმილი იყო სხვა მრავალ კულტურულ ღონისძიებასთან ერთად ასპინძის ომის 250 და ერეკლე II-ის დაბადების 300 წლის საზეიმოდ აღნიშვნა, „საპატიო ასპინძელის“ წოდების მინიჭების ცერემონიალი, ასევე სოფელ რუსთავში – „შოთაობის“ ტრადიციული ღონისძიების ჩატარება, მაგრამ...

ალბათ, 17 ოქტომბერი მაინც იმით იქნება დასამახსოვრებელი, რომ ამჯერად ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება, ასპინძის მერიის დიდი ძალისხმევით, სრულიად სხვა ფორმატით, მოკრძალებულად, მცირე მასშტაბით, მაგრამ, მაინც, ჩატარდა.

გავა დრო და ესეც, ალბათ, უჩვეულო მოგონებად დარჩება...

ამჯერად „შოთაობა“ და „საპატიო ასპინძელის“ წოდების მინიჭების ცერემონიალი ასპინძის კულტურის ცენტრში გაიმართა ყველა იმ მოთხოვნების მკაცრი დაცვით, რასაც „კორონა-ვირუსის“ პანდემიის გამო, სამთავრობო რეკომენდაციები ითვალისწინებენ.

ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრები და მონაწილეები დალოცა **მამა დავითმა.**

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა **როსტომ მაგრაქველიძემ** და საკრებულოს თავმჯდომარემ **მამუკა მელიქიძემ** „საპატიო ასპინძელის“ დამადასტურებელი მოწმობები და მედალიონები გადასცეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელს და მის პირველ რექტორს, „საპატიო ახალციხელს“, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, მრავალი სახელმწიფო ჯილდოსა და „დიდი მესხის“ ტიტულის მფლობელს, პროფესორ **მერაბ ბერიძეს,** ცნობილ ბიზნესმენსა და მეცენატს, დაბა ასპინძაში სულთმოფენობის ტაძრის მშენებლობის დამფინანსებელს **ემზარ ასპანიძესა** და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მთავარ რედაქტორს, საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, „ივერიონის“ საერთაშორისო და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს **ავთანდილ ბერიძეს** *(ასპინძის მერიის გადწყვეტილებით თითოეულ მათგანს ასევე გადაეცა ფულადი ჯილდო).*

შემდეგ, „შოთაობის“ პროგრამის ფარგლებში, გაიმართა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიერ ტრადიციულ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება. წლევანდელი კონკურსის პირველი პრემიის *(ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან)* ლაურეატი გახდა **ციური მესხიშვილი,** მეორე პრემიის *(კერძო პირ ელდარ ალიევისაგან)* – **ნათია ჭინჭარაული,** მესამე პრემიის *(თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან)* – **თემურ ჭახნაკია,** ხოლო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია მიენიჭა **მარი თაბაგარს.**

გამარჯვებულ კონკურსანტებს და „საპატიო ასპინძელებს“ მიესალმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **მაკა ბერიძე.**

პრემირებულებმა წაიკითხეს საკონკურსოდ წარმოდგენილი ლექსები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ტრადიციისამებრ, მუნიციპალიტეტის მერმა, ახლადდაქორწინებულ წყვილებს საჩუქრად გადასცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ღონისძიებას უძღვებოდა ასპინძის კულტურის ცენტრის თანამშრომელი **მარეხ დათაშვილი.**

საკ. ინფორმაცია

ლიტერატურულ კონკურსი

ციური მესხიშვილი

ხერთვისის ციხეს

შენ ისეთი ლამაზი ხარ,
რომ ჩემს სატრფოს მიგამსგავსე,
ორივე რომ გადღეგრძელოთ
ჭიქას ავწევ ღვინით სავსეს!..

შენი ციხის ფუძეს ახსოვს,
მისი ხმა და სიკასკასე,
ალბათ, მიხვდი, ახლა უკვე,
რომელ სატრფოს მიგამსგავსე?!...

წუნდის ტბასთან შორიახლოს,
დაჩოქილა თეთრი ცაცხვი,
უპოვია დალალი და
თამარ მეფის კულულს ვარცხნის.

წეროების მოსაწვევად
დაუდგიათ ქერი ვარცლით,
ჩამოსულა ანგელოზი
და სტრიქონებს მარცვლად მარცვლის:

,,კარვის კარი ჩახლართული,
ჩავჭერ ჩავაკარაბაკე“...
ისტორიამ, რაც დამალა,
თქვენ, რად აალაპარაკეთ?!

ერთხელ როცა გადმოვფრინდით
ცამდე აწვდილ ქარაფიდან,
ნატკენ ხელზე მოწიწებით,
ცხელი ბაგე დამაფინა.

იმის მერე სიყვარულით,
გავხდი ციხის პატიმარი,
წუნდის ტბიდან ვარძიამდე
წყალი დამაქვს საზიდარით.

ცაცხვი როცა მეფერება,
ცელქი ქარი სულ აშარობს,
რომ მივტირი ვარდის ფურცელს,
გადახვეწილს გულანშაროს.

აღარ მხიბლავს ოქრო-ვერცხლი,
აღარ ვეტრფი, აღარც მძივებს,
რა მოხდება, ერთი ღამით
შენს უბეში დამაძინე!..

შენ ისეთი ლამაზი ხარ,
რომ ჩემს სატრფოს მიგამსგავსე,
ორივე რომ გადღეგრძელოთ
ჭიქას ავწევ ღვინით სავსეს!!!..

ი ვ ლ ი ტ ა

(სალაღობო)

სადედოფლო ქალი იყო შვლისთვალება
ივლიტა,
უთენია ადგებოდა მზე რომ ჩამოივლიდა!
შავ დალალებს (რა დალალებს!) შარად
ჩამოიშლიდა
თავშავა რომ უღებავდა შელოცვილი
გიშრითა...
შავი დანა, შავი ტარით მუდამ ჰქონდა ჯიბეში
ფეხშიშველი მიდიოდა შალვას ახალციხეში!
ერთხელ, გზაზე მიმავალი ვარსკვლავებს
რომ ითვლიდა,
გიშრისთვლიანი ბეჭედი უცებ წასძვრა
თითიდან...
ციხის კოშკზე ცეცხლი ენთო, ცას შეხედა
შიშითა,
ციდან მთვარე ჩამოიღო და მე გამომიშვილდა!
მშვილდი მხარზე გადვიკიდე, ხმალიც
გამოვიშიშვლე,
მალემსრბოლი გავუგზავნე თამარ მეფის
ძმის შვილებს...
ბასიანში გამარჯვება, ზოგს ზღაპარი ეგონა,
შ ა ვ ლ ე გ ო ზ ე ოცნებობდა ის და
ყველა გოგონა!..
მეც ვიყავი მეოცნებე, ვამაყობდი იშხნითა,
რა ვიცოდი, მერე, მტერი კედლებს
ჩამომიფშხვნიდა!..
ხან მზის ათინათი ვიყავ, ხან შროშანი
ნესტანის,
სიყვარულმა მეც ჩამასო შხამიანი ნესტარი...
ზოგჯერ შუშანიკი ვიყავ, ხანაც ლაღი
ფატმანი,
მონასტერში ხატს შევწირე საქორწინო
თათმანი...
წუხელ კიდე ვნახე სიზმრად თავს ვიკლავდი
კვეტარში,
ჩემი უტა მომკვდარიყო ჩუქურთმების
კვეთაში...
უფლისაგან მოსდიოდა მეფეს სადილ-სამხარი,
როცა სურდა მისი იყო ტურფა
ვარდისახარიც...
აღარ მახსოვს, რა დღე იყო: თუ შაბათი
თუ კვირა?!..

ის კი მახსოვს ძუძუს თავზე, მეფემ,
როგორ უკბინა!..
ბადელაში ბადე ვქსოვე და ფოცხოვში
ფაცერი,
ვარძიაში, მტკვრის ნაპირას, კალმახები
გავცერი ...
ბადრის ბადე მოვიპარე, ავიფარე პირს
რიდედ...
ზოგჯერ მინდა (შუაღამით!) ისიც
შემომივლიდეს!!!..

კოპლებიანი კაბა

კოპლებიანი კაბა, კოპლებიანი ქოლგით,
გამოვითხოვე გუშინ, ჩემი ბავშვობის
თხოვნით.

ნახ. რეზო ადამიასი

ნაძვმა გაშალა მხრები, ტოტებზე მიბამს
ჰამაკს,
შაშვი, პატარა ფრთებით, მიწერს
ბავშვობის არაკს:

ქარს რომ უყვარდა ჩემი კოპლებიანი კაბა,
ეპრანჭებოდა როცა მზეს ფანჯარაში ბალბა,
სულ დამყვებოდა ყველგან, მღეროდა
ქუჩა-ქუჩა,
ჩამომაშორა ყველა, მათ შორის ჩემი უჩაც!

ხან გამიშლიდა თმებს და მომიშიშვლებდა
ხან მხარს
ძველი ბიჭების ქუჩა ჩვენზე იწყებდა ხარხარს.
რა დამავიწყებს იმ დროს, ან იმ
ზაფხულის ორთვეს,
გვირილებმა რომ მიწა, თეთრი
კოპლებით მორთეს.

ნეტავ დაბრუნდეს ის დრო, სიზმარში
მაინც ვნახო:
ჩემი პატარა უჩა! – ცისფერთვალება ვახოც!
კოპლებიანი კაბა, კოპლებიანი ქოლგით,
ბაღში დამიდგით ძეგლად, ჩემი
ბავშვობის თხოვნით!

გალას ოქროს ჩაიდანი

ზეცას უნდა მივწვდე და ცის თავანი გავწმინდო,
ეს ამდენი ღრუბელი მოფენილა საიდან?!
სულთა სუფთა სავანე, ცაზეც
გავამთაწმინდო,
პანთეონად ვაკურთხო ი ა კობის ა ითა.

დრო დავთქვით და ვესტუმრე, ვნახე
გალაკტიონი,
ნავთქურაზე ადგამდა ძველ, ოქროსფერ
ჩაიდანს,
თუმცა, მასთან სტუმრობა, არ ყოფილა იოლი,
ღიღინებდა თავისთვის: ,,რადამესს
და აიდას“...

წვერზე ხელი მოისვა, უცებ დავპატარავდი,
დიდი გალაკტიონი, კიდევ უფრო ამაღლდა!
– როგორა ხარ ბიძიკო, სად იყავი აქამდი?!
(პაპიროსი აიღო და ჩამოჯდა პარმაღთან).

ისე, თქვენი სტუმრობა, სიმართლე ვთქვათ,
მეოცა,
პოეტებმაც იციან, ჩაიდანზე შელოცვა.
დამეწვიეთ ჩაიზე, გაგიკვირდათ? რა იყო?
ფინჯანმა და ლამბაქმა სარეცელი გაიყონ?!..

ამ ნავთქურას შეხედეთ, იწვის ჭრაქის
ფითილი,
ნავთი თუ არ ჩაასხი, აადუღებს ჩაიდანს?!
მგონი, უკვე დუღდება, ისმის მისი ქვითინი,
ცეცხლი თუ არ დაანთე, აბა, ბოლი საიდან?..

კვამლიც ცისკენ მიიწევს და კრთის
თეთრი თავანი,
ფთილა-ფთილა ღრუბელი ეკვრის სულთა
სავანეს,
პანთეონში მკვიდრდება ასე მავანთ-მავანი
და უფლისგან მოელის ღვთიურ იასამანებს...

ჭრაქის შუქზე იღვწოდა დიდი ვაჟა-ფშაველა,
გახსოვთ, ჩვენმა აკაკიმ, ენა რომ დაუწუნა?
კოსმიურმა გენიამ, ცაც რომ გაგვიმთაველა,
,,სათაგურში“ მონათლა პაწაწინა წრუწუნა.

ჭრაქი ბჟუტავს და იწვის სიღარიბის
სირცხვილით,
ლამფასა და ჭრაქს შუა განსხვავება რაშია?! –
ლამფა, ღამის მეფეა, თავზე ადგას გვირგვინი,
ოქროსფერი მაქმანი ახვევია არშიად.

ფეხზეც, როგორ მყარად დგას
(სავსეც თუ აქვს მუცელი)!
გუშინ, ცრემლი ვაწვეთე ნავთშერეულ
მელანში,
ჩემთან ერთად დაწერა, არაერთი ფურცელი,
მეფეს, მეფის მეფემან, დამიბეჭდა
,,მერანში“...

ყურში გამოურჭია ფანქრად ცის გასაღები,
აუწევ და ჩაუწევ, გინდა, სულაც ჩაკეტავ!
ცხელი ჩაი მიირთვით! (უკაცრავად ნაღები)
ის მ ე რ ი გამახსენა თქვენ მოდურმა
„უაკეტმა“...

ისე, ჩემო ბიძიკო, ბავშვი ფეხს რომ აიდგამს,
ღმერთმა გადაატაროს მზითკურთხეულ
ზეცაზე!
მის გარეშე, იცოდე, გვირგვინს ვერვინ
დაიდგამს
და ვერც მოინათლება უფლის კვართით
ზეწარზე.

გესმით, ზუზუნ-დუდუნი, ოქროსფერი
ჩაიდნის,
სევდიანი ვოკალით, როგორ უსტვენს
პიანოს?!..
ღვთაებრივი მუსიკაც მოცარტის თუ ჰაიდნის
გალაქტიკამ გვაჩუქა, განა ფორტეპიანომ!..

მე და ეს ჩაიდანი ერთად ვხვდებით ალიონს,
მე სიცივით, – ის ცეცხლით, ვუშვებთ
სევდის ოხშივარს.
ღრუბლებს ვატანთ, ვაბოლებთ
ერთნაირად ყალიონს,
როცა ღამით ორივეს ცხელი ლექსი
მოგვშივა...

.

ალბათ, ჩემთან სტუმრობით აიხდინეთ
ოცნება,
შერვაშიძის ასული, ნეტავ, თუ გაოცდება?!
ისე, თქვენი სტუმრობა, უცნაურად მეოცა,
სულ სხვა ქალი მიყვარდა, – სულ სხვა
შემომეკოცნა!!!..

კავკასიურ ნავგზს ბ ო მ ბ ო რ ა ს

(ანუ მზის ე ლ ე გ ი ა)

ჩემს საქართველოს ჰგავხარ ბომბორა,
დიდ კავკასიონს და თანაც ისე,
თავს რომ გეხვევა შავი გორგონა და
გადაჰყურებ სიკვდილის იმ სერს,
სადაც აგია ეკლის ნოხები თუ ირანული
ფიანდაზები,
მე რომ ცრემლებით გულს ვიოხებდი და სულს
გითბობდი ძველ ანდაზებით.
ორჯერ დაგკარგე, ცრემლები ვღვარე,
გადავიფარე ღვალოს სუდარა,
სოფლის ბოლოში, ახალმა მთვარემ,
ძლივს შეისმინა ჩემი მუდარა:
გადამატარა მთა-მთა ნაწვიმი, არ მაშინებდა
მავთულხლართები,
მეხმარებოდა: თეთრი არწივი, შავი მერცხალი,
ჩვენი სხალთელი...
და ძლივს ვიპოვე შენი ბუნაგი, ჯინჭრებიანი
მიწის კერია,
წითლად ღვიოდა მორცხვი უნაბი, მზის
მოსასხამში, როგორც ე ლ ია!
გნახე სამშობლოს სადარაჯოზე,
მაღალ მთებიდან ზღვას გადამყურე
და მიხაროდა, მეკობრესავით, რომ არ გეკეთა
ყურზე საყურე.
ყ ა ყ ა ჩ ო ს ველი ყმაწვილებს ითხოვს, გაშლილი
არის ს ი ს ხ ლ ი ს ტრაპეზი,
თრიაქის წევით დამთვრალა თითქოს, ლექსის
წერის დროს დიდი ჰაფეზი.
დღემდე არსებობს კაცობრიობა კავკასიური
ჯიშის გენებით,
მზემ რომ მონათლა მთვარე რიონთან, ცას
მოწყვეტილი ცეცხლის ენებით.
სად იმალება სამყაროს ჭიპი, რას გვეუბნება
სალვადორ დალი?!
რად ვერ იპოვეს დაშიფრულ „ჩიპით“ სვანეთის
მთებში ქალღმერთი დალი?..
დახედე ერთი შენს მებრძოლ კლანჭებს,
მაღალ ფეხებს და კოხტა კვირისტავს,
ვინ იცის, რამდენ ძუკნას ეპრანჭე, ღმერთმა
რომ ხვადად დაგაგვირისტა.
შენი ბალანი, საჩეჩელს ვაცვი, ვჩეჩე და მერე
ძაფად რომ ვართე,
წინდად მოვქსოვე და ძლივს ჩავაცვი ოშკის
კედლებთან გაყინულ მნათეს.
ტირის ბავშვივით (მეც გავიგუდე!)
ხავსმოდებული ყელი იკორთის,
ყვავს აუგია ტაძარში ბუდე, ქსნის ერისთავთა
გულებს მიკორტნის.
აფხაზეთიდან – სამაჩაბლოში,
მრავალჟამიერს თუ გადასძახებ,
აუდუღდება სისხლის წვეთები, თამარაშენში
გაყინულ ძახველს.
სულ სიყვარულზე ქადაგებს ღმერთი,
პოეზიაზე – არისტოტელე,
იქნებ ამიხსნა, მითხარი ერთი, რატომ
ვუყვარვარ ალვის ტოტებს მე?!
ან რად იცინის, როგორც ტყის ალი, ტოტების
შუა გაჩხერილი მზე?
რატომ მოიკლა კლდის ქიმზე თავი, ხავსზე
ამოსულ ლამაზ პირიმზემ?!
ცა აღარ ელავს, რომ ცვივა ცრემლი,
წამწამმოწყვეტილ ვარსკვლავთა ქიმებს,
შემოსწოლიათ გულზე ნაღველი, მთვარის
ჩასვლისას გიშრისფერ ქვრივებს.
სიზმარში ვნახე: სავსე მთვარისას, მგლებმა
ყმუილით გადაირბინეს,
ბაში-აჩუკის და კი, მთვარისა, დაფნით
გირთავდა თავს საგვირგვინეს!..
უმკლავდებოდი სტეპების მხრიდან, მთებში
შემოჭრილ უთოფო დათვებს,
თეთრი არწივი ისევ აფრინდა, ცაში აფრენდა
უფლისთვის მართვეს.
მაცნეს: ეპოვათ გრაალის თასი, მზე
გივარცხნიდა ნატკენ ხერხემალს,
თავზე ემოსა მთვარის ატლასი, ოქროს
საწმისი – ტანზე ერკემალს...
ენგურის პირას ბოლთას ცემს ისევ, მთვარეს
შეჰხარის თარაშ ემხვარი,
შ ე ნ, მოდარაჯის ფარაჯას იცმევ,
მ ე – ქართლის დედის, და შენ შეგხარი!..
არ მავიწყდება აეროდრომი, შენი სახელი რომ
ერქვა ,,ბ ო მ ბ ო რ ''!
ჩემი სამშობლო ნანახი ,,დრონით“, უფალს
ვთხოვ, ისევ, არ დამიბომბონ!
დგას ნადირობის ცხელი სეზონი, ციდან
დაეშვა წივილით წერო,
მკვდარია ფუნჯიც დიდი სეზანის, ცაზე
„მ შ ვ ი დ ო ბ ა“ რომ წამიწეროს!
ულოკონ ჩექმა კუდის ქიცინით, ნადირობის
დროს მკვლელებს მწევრებმა...
ყოველი კაცის ისტორია კი სიკვდილის
შემდეგ დაიწერება!!!..

გამარჯვებულთა პოეზია

ნათია ჭინჭარაული

პირველი წვლილება

როცა გტოვებენ,
ტოვებენ იმედს...
გრძნობ, ნაშიმშილებ დღეებს მიყვები
და ემსგავსება მოუსვლელ წვიმას
შენი სიცივით სავსე სიტყვები...

ბავშვობა სადაც მთავრდება, იქ ხარ,
იქიდან იწყებ ნამდვილ ცხოვრებას,
ემახსოვრებათ, რაც უნდა გითხრა,
ეს გაორებაც ემახსოვრებათ.

თუმც არ არსებობს მსგავსი შემთხვევა,
თუმც არ არსებობს მსგავსი შეხვედრა,
წერ, რადგან გჯერა, ვინმე ერთხელაც
ცხოვრებას შენი თვალით შეხედავს...

სიცხეა, თეთრად ჰყვავის უზანი...
მშვიდი ღამეა, მდუმარე, უხმო,
წერ, თითქოს შენს თავს წერილს უგზავნი
და რა ხანია აღარ გპასუხობს.

ეტყვი, ამ ნაპირს ბევრჯერ მოადგნენ,
თუმც რა საქმე გაქვს შენ სხვის ომებთან...
ეს ქარიც ღრუბლის სავსე ხომალდებს
გადაყრის მთების მისადგომებთან.

და გრძნობ, თუ როგორ ხდება თოლია
(ამხელა ცაზე ვის ენაღვლები),
და ფრთებით სწავლობ ტრაექტორიას
ან მიმოქცევას ქარის თუ ზღვების...

სახლი კი ისევ დაგირჩა სადღაც,
ისე ბებერი, ისე მდუმარე,
რომ ყველა ნიშანს, იარას, დამღას,
სულ გაურბიხარ და იუარებ.

რომ მისცე სივრცე ბავშვურ ოცნებას,
რასაც სიცრუის სუნი არ ასდის,
რომ მორჩეს იქნებ ეს გაოცება,
დამთავრდეს იქნებ ეს მასკარადი.

ხედავ ყველაფრის მიღმა ცოტახნით
რაფაზე ყვავილს მრავალფოთლოვანს,
სადაც ბავშვობის მყუდრო ოთახში
შენი არყოფნის მტვერმა მოთოვა...

ათასი ფიქრით, სურვილით, ვნებით,
გავხარ ველურად ამოსულ იას,
გაცლის ყვავილებს ქარი და ხვდები
მსგავსი ქარები ძალიან გღლიან.

არ აღიარებ წარსულის ამბებს,
როგორ მოედო სიმსივნე ავად
და უნებართოდ შენს კარსაც ანგრევ
ანმყო, რომელიც აღარსად წავა.

ყველა შინაგან ხმასა თუ სურვილს,
ანდაც უსულოდ დაწყობილ ხაზებს,
ჯერ საკუთარი შვილივით უვლი,
რომ მერე მშვიდად გაუშვა გზაზე...

და სხვათა ფონზე ყველაფრით უგებ



ნახ: რეზო ხითარიშვილისა

მათ, ვინც თავის თავს გადაამეტა,
გახსოვს სახლის წინ პატარა გუბე,
სადაც ეტევა მთვარის პლანეტა.

ქრიან ქარები, ყვებიან მითოსს,
მოგითხოვს ღამის ბნელი არენა,
იგრძნობ ეზოში ზაფხულის სითბოს,
როგორ ეხვევა ქარი გარედან.

გრძნობ მოურჩენელ ყველა დანაკარგს,
ყველა ომსა თუ სენს თუ იარას,
ოდესღაც ღმერთიც გელაპარაკა,
ოდესღაც ღმერთმაც გამოიარა...

დაატრიალებ თავში მეასედ
შენი ბავშვობის ფირის ნარჩენებს,
ზიხარ შენივე თავის სეანსზე
და იცი, ვეღარ გადაგარჩენენ.

თუმც არჩევანი სადღაც გაჭირდა...
აქ სხვა სიმართლეს ვეღარ მოძებნი,
სიზმარში შენი სულის ფანჯრიდან
სანამ მოდიან ანგელოზები.

***

გახდა მას შემდეგ
დინება მდორე...
ოქროსფრად იდგა მზე მთების მუხლთან,
მე ვწერდი ჩემთვის,
ან უფრო სწორედ,
ვწერდი იმათთვის, ვინც ჩემზე წუხდა.

შემდეგ
შედეგიც იყო წვიმების
(დღემდე დაძრწიან ქართა ჰუნები)...
მეც მენატრება მგზავრის იმედით
მძაფრი შეგრძნება შინ დაბრუნების.

რაც აღარ ხდება ბავშვობის აქეთ –
ბუნდოვნად მახსოვს ალერსი დედის
და გულისცემა,
ნერვი თუ ფიქრი
სიმარტოვის სხვა ფაზაში შედის.

დღეს ჩემი სულის ჩამოშლილ კედლებს
თავშესაფარი ერთი აქვს მხოლოდ,
და გულწრფელობას სადამდეც შევძლებ,
პოეზიაშიც იქამდე ვცხოვრობ.

***

კიდევ ბევრი რამ მინდოდა მეთქვა...
მინდა ირწმუნო,
გჯეროდეს,
ნახო...
თუმც შორს ხარ ჩემგან,
ამასთან ერთად,
მაინც შენთან ვარ ყველაზე ახლოს.

ვზივარ,
ვუყურებ
ღრუბლით მოლესილ
ცას და გადაღლილს ქართა ენებით,
ვგრძნობ, არ არსებობს სიტყვა, რომელშიც
მოგათავსებ და დავისვენებდი...

თავგანწირვა სურს
ტალღების ლაინს
და პოეზიაც გავს იმ არჩევანს,
როცა არ იცი ცურვა და მაინც
ხტები სიცოცხლის გადასარჩენად.

***

ნაცნობ ეტიუდს ასრულებს წვიმა
და სახურავზე იღებს ოქტავებს...
რა გითხრა,
ვწუხვარ და გულთან მიმაქვს,
რომ გეცოტავე...

ამ სიჩუმეთა აუარებით
ხან დრო ყველაფერს თავად აკეთებს
და რჩება ღიად ფიქრის კარებიც
ჩემი სიტყვების ჩამტყდარ საკეტებს...

***

როცა დღის შუქი დაეფინება
იმ საიდუმლო ფიცის მოცემას,
სადაც ცვლის ღამის მდორე დინებას
შენი სხეულის მძაფრი მოქცევა.

საუცხოოა ეს სინატიფე...
ცა ჩაიმღერეს წვიმის ნიმფებმა,
შენ კი შეხედავ დილას ატმისფერს
და მზე თვალებში დაგიმწიფდება...

მარი თაბაგარი

ქვაბისხევის ფრესკა

(ბორჯომის ხეობაში, სოფელ ქვაბისხევის მახლობლად, დგას წმინდა მარიამის მიძინების სახელობის ქვაბისხევის უძველესი ეკლესია. აქ ფრესკებს შორისაა მდიდრულად ჩაცმული ქალისა და მამაკაცის გამოსახულება, რომელთაც ასომთავრულით აწერია: „შოთაი და იაი“. ლეგენდის მიხედვით, მამაკაცი შოთა რუსთაველია, ხოლო ქალი – დედამისი).

შრიალებს ვერხვი და მოჩხრიალებს,
მთას მოწყვეტილი ქვაბისხეულა,
ვერ იამებენ ფოთლის იარებს
ტოტები, ქარში ჩამორხეული.

გალობენ ტაძრის ბებერი ქვები,
საუკუნეებს ფერი აქვთ ბაცი
და ქვაბისხევის სდუმს მონასტერი,
კლდეზე შემდგარი, როგორც ბრძენკაცი.

ფრესკაზე ხელებს აღაპყრობს შოთა,
სულს მითბობს მისი ყმაწვილი სახე
ისევე, როგორც იმ მოყმის შფოთვა,
ვეფხის ტყავში რომ მჭმუნვარე ვნახე.

ჭაბუკი კვლავაც ვიხილო, ვნატრობ,
გზასაც არ ჰქონდეს სტუმრისგან მოცლა;
ჯვრის მონასტერში, მხცოვანთან მარტო,
ისმოდეს მშვიდად ქართველის ლოცვა.

ბუმბერაზობა მისი მამუნჯებს,
ქვაბისხევს მადლი საუფლო მოსავს
და ლოცვით ვფურცლავ ერის საუნჯეს,
საგოგმანებელ ,,ვეფხისტყაოსანს"!

ჯამნაშავე

გამჭვარტლულ ღუმელს ჰგავს ეზოში
ჩამდგარი ოდა
და კრამიტებზეც საკერველი ადევს თუნუქის;
ნერვდაწყვეტილი ქარი ყბედი ქალივით
მოსდგა,
თეძომოვარდნილ კარს უპოვა კვალი
ჩულუხის.

თუმცა მანამდე, სახლის გვერდით
ბუმბერაზ კაკალს,
გადაუგრიხა გამხმარი და ნორჩი ტოტები.
ვერ მოერია ტოტს, რომელზეც იწყებდნენ
კანკალს
საქანელაზე გამობმული მსხვილი თოკები.

ჭუჭრუტანიდან სახლში ფარდებს წაეთამაშა,
მისწვდა მასპინძლის ნაჯაფარ და
დაკოჟრილ ხელებს,
გარეთ გასული წამოედო კარის თამასას
და დარდი იქვე გამოაბა ურემზე ხელნებს.

ფიქრდახუნძლული კაცი ცრემლებს
იწმენდდა მუშტით,
კბილთა ღრჭიალით პასუხობდა
ცოლ-შვილის კვნესას,
სნეული ბავშვის ტკივილებმა გახადა კუშტი,
უსუსურობამ უიმედოდ გულში დაკვესა.

არსაით შვება, არსად ხსნა და ხახადაფჩენილ
სიღარიბესაც ვერ ამოსდო პირში ლაგამი
და ახლა მხოლოდ ხვნა-თესვისგან
იმედგაჩენილს,
მშიერ-შიშველი დარჩენია ბეჩავს ნაგრამი...

სნეული შვილი ოხრავს, ითხოვს ყველასგან
შველას,
ყელში ბოღმის და თვალში ცრემლის ბურთი
აქვთ მშობლებს;
როგორი გამძლე უნდა იყო, ვერ შეძლო შველა
შვილის და მაინც, საღი აზრი არ და ვერ
გთმობდეს.

სიკვდილ-სიცოცხლე ყოველდღეა ახლა
სასწორზე,
პინა ირწევა და ირევა კაცის გონებაც;
გამთენიისას ის დატოვებს ფიქრებს საწოლზე,
შვილების სამოსს სიყვარულით ჩაეკონება.

დატოვებს ოდას, ქარიც შიშით დუმილს
დაიცავს,
ნახირის ჩქამი გაისმება შორს, ორღობეში;
ხელის კანკალით საქანელის გაჩორკნილ
ფიცარს
ხესთანვე დადებს, წვიმით სავსე მომცრო
გუბეში.

ზედაც შემოდგამს თავის ჯორკოს, უშნოდ
გარანდულს,
სწრაფად შედგება, ვეღარ ფიქრობს,
ხვალ რა იქნება?!
ნეტავ, არავინ შეამჩნიოს, ეს აჩქარებს თუ
განზრახვის შიში და იმისი გადაფიქრება?!

...მამალმა უკვე გათენების წამოიყივლა,
ძაღლის ყმუილმა ვერ დაფარა მოთქმა
შვილების,
მეზობლის ჭიშკარს ელდა დაჰკრა ცოლის
კივილმა,
კაცი თუ ქალი წამოვიდა ზვავის დინებით.

უწინ თუ მადლის სანოვაგე მოქონდათ
ღვთისთვის,
ახლა ხონჩაზე სინანული დაედოთ მხოლოდ,
თავის კანტურით კითხულობდნენ: ვინ?
რატომ? რისთვის?
ვერ ამოეხსნათ მიზეზების თავი და ბოლო.

მწარე ბავშვობას საქანელამ პასუხი გასცა...
გაყინულ თვალთა მზერა შერჩა
ღრუბლების რემას
და წამოროშა გაგონილი სიბრძნე ვიღაცამ:
– მოკლული თუა, მკვლელი თვალში
აირეკლება!..

სიჩუმემ შიში წამოშალა, ვერავინ ბედავს,
ფარისეველის ცნობისწადილს მისდიოს ახლა,
შეჭირვებულის გულში როცა არ ჩაუხედავს,
მის თვალში მკვლელი რომ იპოვოს, რით
შეძლოს ნახვა?!.

გაყინულ თვალებს ცოდვის შვილი
უსწორებს ღმერთსაც,
ზეცას შეჰყურებს, სული უნდა რომ
შეაყვაროს;
კაცის თვალებში დამნაშავეს ეძებენ ერთს და
ოჰ, საოცრებავ! ისახება მთელი სამყარო.

***

წამოუქროლებს ჩემს დაკოცნილ
ვარდებს აშარი,
ქარი ჯიუტი დააწიწკნის
ღეროს გვირგვინებს.
ჩამოამწკრივებს რიგზე როგორც

გაგრძელება გვ.4 ▶

◀ დასაწყისი გვ. 3

დიდი მარშალი,
თავის ნებაზე მოატარებს
ნაცნობ ბილიკებს.
ბოლოს დაცხრება, ქარია და
სჩვევია დაღლაც.
ვარდის ფურცლები მოედება
სკვერსა და ქუჩებს;
მიტოვებულის დააჩნდებათ
ქარისგან დამღა
და ის ამბორიც, როს მოსტაცეს
ოდესღაც ტუჩებს.
გამთენიისას მეეზოვე
ჩამოგვის ფურცლებს,
ვარდზე ამბორიც მათ გაყვება,
გაავსებს ურნას.
უფასურდება ყველაფერი,
რაც დროს ვერ უძლებს.
ჰო, სიყვარულიც, თუ არ არის,
ორმხრივი ზრუნვა...
...გაზაფხულიდან ვეფერები
გაზაფხულამდე,
ბოლოს, უკან რომ გამომყვება
ვარდები თეთრი;
დაბადებიდან ამას ვფიქრობ
დასასრულამდე,
არ გადავღალო ჩემი ცოდვით
ჩემივე ღმერთი.

საღამო

მზე გაითხაპნა ზღვის ჰორიზონტზე,
მთვარემ საშველად წამოყო თავი.
ნაპირზე, ქვიშის ნესტიან ზოლზე,
დატანტალებდა საღამო შავი.

გამოჰყვა სითბო დაკეცილ ქოლგას,
ჯერ კიდევ დღისით მზისგან ნასროლი,
და ქოლგის პატრონს – შური და ოხვრა,
გამჭოლ მზერაში გამონასკვული.

ნახ. თამარ ლომიძისა

ზღვამ ჩამორეცხა გათხაპნილი მზე,
ბინდს შეერია სხეული რუჯით;
ლამპიონს ეჯდა უბრად ნაპირზე
კაცი, რუხ სხეულს ხატავდა ფუნჯით.

თბილისური გაზაფხული

ყინვის ქურქში შეიპარა გაზაფხული
და მოქარგა კაბა ჭრელი, ბრდღვიალა.
დათბა, ყინვა გაიპარა დაზაფრული
და თბილისმაც კაბა ააფრიალა.

შეეყარათ ხეებს ახლა ბატონები
და ტოტებზე დააყარათ კვირტებმა;
მეტეხთან კლდეს კვლავ ბავშვივით ვეტოლები,
მახსოვს, რომ აქ სუროს ცრემლი მიკვირდა...

მზე ჩამოდნა, ვტკბები მტკვარზე ტივის
ცქერით,
,,ღვინის აღმართს" ფაიტონიც გამოსცდა;
ვახტანგ მეფეს აღუმართავს მაღლა ხელი,
სალამს უძღვნის ,,ქართლის დედას" საოცარს.

აქვე, ხიდზე მივაბიჯებ, მეწვის ტერფი,
თითქოს კვლავაც ასვენია ხატები;
ასი ათას მოწამესაც გულით ვეტრფი
და ვამაყობ სჯულის ერთგულ ქართველით.

მეიდანზე თონის ლავაშს ავარდნილი
ოხშივარი, კვირტის სურნელს ერევა.
ავუყვები აღმართის ზამთრის პანაშვიდით,
თბილის ქალაქს არ მოვაკლებ ფერებას.

მივეყრდნობი ნარიყალას ციხის კედელს,
გადმოვხედავ ტაძრის გუმბათს საუფლოს,
დაბლა მწვანედ მოღაღანეს ვუცქერ ედემს,
აქ ქვაც ტკბილად წინაპრებზე საუბრობს.

იასამანს მოუწყვიტავს გოგოს ბიჭი,
გაჰყვებიან ნარიყალას ბილიკებს;
ქარი მოვა თავნება და სულ მაქვს იჭვი,
კვირტის ფურცლებს ყველას ჩამოგვირიგებს.

ჩამოქარგა გაზაფხულმა კაბის ფარჩა,
მზემაც თვალი გაახილა ბრიალა,
სითბოს ვსუნთქავ, ზამთრის სუსხი
აღარ დარჩა
და თბილისმაც კაბა ააფრიალა.

◇◇◇

XX საუკუნის 70-იანი წლების ქართული პოეზიის ძირითადი ტენდენციები

სოსო გიქოშვილი

გასული საუკუნის 70-იანი წლები ერთი საინტერესო ათწლეულია უახლესი ქართული პოეზიის ისტორიაში, საინტერესოა, ვინაიდან ხასიათდება მნიშვნელოვანი ძვრებით, ახლებური პოეტური ტენდენციებით. ამ ათწლეულის სახეს მნიშვნელოვანწილად 50-60-იანი წლების პოეტებიც ქმნიდნენ, მაგრამ 70-იანი წლებიდან ეროვნულ პოეზიაში ადგილი დაიმკვიდრა ახალმა თაობამ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ქართული ლექსის ვერსიფიკაციული მხარის განახლებაზე, პოეტურ სახეთა ახლებურ გააზრებასა და პრობლემების პოლემიკური თვალსაზრისით გაანალიზებაზე, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე წლებში კვლავ ნაყოფიერად განაგრძობდნენ მოღვაწეობას უფროსი თაობის წარმომადგენლებიც (**ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი**).

70-იანი წლების დამდეგს საბჭოთა იდეოლოგიური წნეხისაგან შედარებით გათავისუფლებულმა ქართულმა პოეზიამ ახალი სასიცოცხლო ძალებით გაამდიდრა ქართული ლექსი, მეტი პოეტური დამაჯერებლობით და აზრობრივი სიღრმით დაინერგა ახლებური ტენდენციები, რამდენადმე შეიცვალა ლექსის ინტონაციური წყობა, როგორც მკვლევარი თეიმურაზ დოიაშვილი შენიშნავს „განხორციელდა ე.წ. ყოფითი რეფორმები“. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 60-იანელთა კვალდაკვალ მოსული ახალი თაობა რთულ მდგომარეობაში აღმოჩდა, ერთგვარი დილემის წინაშეც, კერძოდ, მათ უნდა გაებათილებინათ წინა ათწლეულებიდან ჯერ კიდევ შემორჩენილი სტერეოტიპული შეხედულება, „რომ ყველაზე კარგი ლექსი უკვე დაწერილია“ და ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ, სინამდვილეში, მართლაც, არსებობდა მნიშვნელოვანი მაღალი ღირებულების მქონე ეროვნული პოეზია. ყოველივე ზემოაღნიშნულმა სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ჩვენი აზრით, 70-იანელთა თაობას შთაუნერგა ეძია გზები ახალი ვერსიფიკაციული აზროვნებისკენ, რაც თანდათან გამოიხატა კიდეც ტრადიციული ქართული ლექსისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფორმის უარყოფაში.

მიუხედავად იმისა, რომ 60-70-იანი წლების ქართველ ლირიკოსთა ინდივიდუალობას განსაზღვრავდა საკუთარი ხელწერა, პოეტური გარდასახვის ორიგინალური ხერხები, მათ შორის ბევრი რამ საერთოც გამოიკვეთა, თუნდაც ეროვნული თემატიკა, ადამიანის – როგორც პიროვნების სულიერი სამყაროს წარმოსახვა თავისი მსოფლმხედველობით, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით ლოგიკურია.

და მაინც, გარკვეული ნიუანსების მთლიანობისა, 70-იანი წლების პოეზიაში, წინა ათწლეულებისაგან განსხვავებით, უფრო ხელშესახებად გამოიკვეთა მანამდე ტაბუირებული თემების წინ წამოწევა – ეს იყო: ქართულ ენასთან დაკავშირებული პრობლემები (აქ მხედველობაში გვაქვს 1959 წლის 9 მარტის ცნობილი მოვლენები) და სწრაფვა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, რაც მაშინ მძაფრი საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში მაღალმოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვდა ახალგაზრდა პოეტებისაგან, რომელთაგან გამოვყოფდით – მუხრან მაჭავარიანს და მურმან ლებანიძეს.

მუხრან მაჭავარიანი 70-იანი წლების ერთი თვალსაჩინო და თვითმყოფადი შემოქმედია, მან ჯერ კიდევ სტუდენტობისდროინდელი ლექსებით – 1947-51 წლებში, რამდენიმე პოეტთან ერთად (მურმან ლებანიძე, მორის ფოცხიშვილი, მიხეილ ქვლივიძე) მძლავრი წინაპირობა შექმნა ეროვნული პოეზიის თვისობრივი განახლებისათვის. **მურმან ლებანიძე** წერდა: ***„მუხრან მაჭავარიანი მოგვევლინა მოულოდნელი, მანამდე ჩვენთვის უცნობი, ერთი შეხედვით უჩვეულო ქართული ლექსით, იგი ანგრევდა ძველ რიტმულ კონსტრუქციებს, ქმნიდა ახალ ჰარმონიებს, აახლებდა დიდი ხნით მივიწყებულ თავისუფალ ლექსს. 70-იან წლებში მუხრან მაჭავარიანის პოეზია ახალ სიმაღლეზეა, მისი შემოქმედების ძირითადი მისიაა – ენის, მამულის ღირსების დაცვა, გმირ წინაპართა სახელების უკვდავყოფა, რაზეც მიუთითებს 1968-71 წლებში შექმნილი ლექსები – „დღე მოიწევს კრიალა“; „ახლა კი დროა“; „ციკლიდან: 1832 წელი“; „რაც ჯერ არ მითქვამს“.***

ჩამოთვლილ ლექსებში პოეტის ენით რომ ვთქვათ, დღის წესრიგში კვლავ აქტუალურად იდგა „ქართლის ბედისა“ და „ქართლის ჭირის“ საკითხები. ცხადია, რომ ვითომ საბჭოთა პოეტისთვის ასეთი ეროვნული ტენდენციების დამკვიდრება ადვილი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ „მართლის თქმის“ პრინციპი ყველაფერზე მაღლა იდგა, ერის მინავლებულ ცნობიერებას ფხიზელი და ძლიერი შემოძახება სჭირდებოდა:

„როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?
ქვეყანას სძინავს, დღეს ღვიძავს ვისღა,
ჩვენი მზის სხივის, ჩვენი ზვრის
ყურძენს,
როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან...“

ან კიდევ:

„ნეტავი ჩვენში ყოველგვარი
რამ ჩაჰკლა რისკი?
და დუმილისკენ, ღრმა დუმილისკენ,
გვეჭიროს უნდა როდემდე კურსი?!“

საზოგადოებაში გამეფებული დუმილის დასარღვევად პოეტი ამხელს როგორც საკუთარ, ასევე სხვის დანაშაულსაც ლექსში „სოლომონ დოდაშვილი“, ვინაიდან დუმილი, შეგუება არსებულ რეალობასთან, უზნეობად მიაჩნია. ლექსში ვკითხულობთ:

„ვარ დამნაშავე, რამეთუ ვითმენ,
რაც მესმის იმას, და რასაც ვხედავ“.

მუხრან მაჭავარიანი უკომპრომისოა 70-იანი წლების სინამდვილის მიმართ, რაც აშკარად ცხადდება შემდეგ ლექსებში: „ვაი, ჩვენს პატრონს“; „თქვა ოპიზარმა“; „კრწანისი“; „დუმილი რეკავს“; „ამერ-იმერი“.

უკომპრომისობა და მამხილებელი ტონი ბუნებრივად მომდინარეობს პოეტის სულიერი სამყაროდან, ამიტომაცაა ძლიერი მისი ზემოქმედება მკითხველთა ცნობიერებაზე.

მ.მაჭავარიანის პოეტური მემკვიდრეობისთვის დამახასიათებელი მხატვრული ტენდენციები, პირველ რიგში, იკითხება ეროვნული პრობლემატიკის გააზრების დროს, კერძოდ, ისეთ ლექსებში, როგორიცაა – „ამას არ უნდა დასტური სხვისი“; „გურამიშვილის არ იყოს“; „შუღლი“; „ნუ გათათრდები“, „თუ სიკვდილია“; „რისთვისღა“; „ქართველი ამას იკადრებს? – არა!“ ჩამოთვლილთაგან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ლექსი „ქართველი ამას იკადრებს? – არა!“ რომლის დაწერის საფუძველი გამხდარა პეტრე კენჭოშვილის წიგნი „მოგზაურობა წმინდა ქალაქსა იერუსალიმსა და წმინდა ათონის მთაზედ“ (1901 წ.), სადაც გამოთქმულია გულისტკივილი იმის შესახებ, რომ ათონის მთაზე, ივერიის მონასტრის ქართული წარწერების შინაარსი შეუცვლიათ, მაგალითად, „საქართველოს – მეფენი“ – „ბიზანტიის მეფეებით“; „თორნიკე ერისთავის“ მაგიერ – „ნიკიფორე – ბერძენი კეისრით“.

პოეტის აზრით, „გამოუყვანეს ქართულ ტაძრებს უტიფრად წირვა“, რომ „გვინგრევენ წარსულს, გვაოხრებენ, ჩვენა კი გვძინავს“. ისტორიულად არაერთი ფაქტია დაფიქსირებული დასტურად იმისა – თუ რა გზით, რა ხერხებით ურცხვად ისაკუთრებენ ქართულ გვარ-სახელებს, ქართულ მიწა-წყალს, თვით ქართულ ტრადიციებსაც კი:

„სადაც ქართული წარწერაა
– თავისად წერენ!
ისაკუთრებენ, ერთ დროს ჩვენმა
რაც შეჰქმნა ხალხმა
და ჩვენიაო – გაჰყვირიან საქვეყნოდ
მერე,
ქართველი ამას იკადრებს?! – არა!..“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართული პოეზიის ერთი აქტუალური თემაა – ენის საკითხი, რომელმაც განსაკუთრებული სიღრმით იჩინა თავი მუხრან მაჭავარიანის ლირიკაში, კერძოდ, „ქება და დიდება ქართულისა ენისა“; „რაშია საქმე“; „ენა ქართული“; „სიტყვა თქმული ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ“ და სხვ. ეს ბოლო ლექსი დაწერილია 1978 წელს, რომელშიც ავტორი მკაცრი, მამხილებელი და, ამავდროულად, ირონიული ტონით წარმოადგენს ყველა იმ ნეგატიურს, რომელიც ქცეულა ქვეყნის ეროვნული უბედურების მიზეზად:

„უცხოს როდესაც ჰკოცნი იაზონს
და ზურგზე ისვამ, როგორც იაბო,
თავმა თუ არა, ტანმა თუ არა,
ტვინმა ქე, მაინც უნდა გიაზროს –
რა შეიძლება მოჰყვეს ამ ამბორს...“

იმავე 1978 წელსაა დაწერილი ლექსი „იარს უსასრულოდ, რომელიც ამიერ“, იგი გამოხატავს ქართული ენის ისტორიულ ძნელბედობას, მის გამძლეობასა და უკვდავებას, ლექსში ვკითხულობთ:

„სომხურად რომ ერქვა ფაიტაკარანი,
ტფილისზე გადიოდა გზები ქარავნის,
ვაჭრობდნენ თათარნი, ვაჭრობდნენ
ასურნი,
ისმოდა ხმა თარის, ისმოდა ხმა
ზურნის,
ვინ ქრისტეს ესავდა, ვინ
მაჰმადს ესავდა,
კრთის ენა ქართული აქამდის
მოსული...“

და მაინც, პოეტს სჯერა, რომ მშობლიური ქართული ენა „იარს უსასრულოდ“ ანუ იარსებებს დაუსაბამოდ.

„მამული, ენა, სარწმუნოება“ ერთიანდება 1978 წელს დაწერილ ლექსში „ენა ქართული“, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს მარტივია, სადაა, მაგრამ სისადავეში პოეტურად ამეტყველებულია მშობლიური ენის ულამაზესი ჰიმნი:

„ქართული მარტო ენაა?! –
ქართული, ქართველთ რწმენაა!
ღმერთია! ბედისწერაა!
ზღვა როა! – იმოდენაა!“

როგორც ვხედავთ, ამ ჰიპერბოლომებული შედარებით გამოხატავს მუხრან მაჭავარიანი მშობლიური ენის სიყვარულსა და სიდიადეს, თავის დამოკიდებულებას როგორც თავად იტყოდა „რუსთაველისა და საბას“ ენისადმი. ანალოგიური იდეური არსისაა მანამდე დაწერილი ლექსებიც „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ – 1973 წელს; „რაშია საქმე“ – 1974 წელს. ამ უკანასკნელს ახლავს მინაწერიც: „პასუხად ყველას, ერთს ჰქადაგებს ვინცა ვინ ენას“.

ქართულ ენას ერთბაშად როდი შექმნია პრობლემები: 1978 წლამდე, როცა საბოლოოდ წყდებოდა ქართული ენის სახელმწიფოებრივ ენად ყოფნა-არყოფნის ბედი, აშკარად გამოიკვეთა თუ საით მიემართებოდა ამ თვალსაზრისით მოძალადე რუსული იმპერიის ზრახვები პატარა ერების მიმართ. სწორედ ამან ათქმევინა პოეტს:

„არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა,
მე მგონი ცოტა,
არც იმას, – წერდნენ რა ენაზე ვაჟა
და შოთა,
კი, მაგრამ ღმერთი აღარაა?! ბნელა?!
ქართული იქნებ ვინმეს მდარე
ჰგონია ენა?!“

ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულმა ასეთმა სულისკვეთებამ ბევრად შეუწყო ხელი ეროვნული გრძნობების ამაღლებას ქართველ ახალგაზრდობაში, რომელმაც ღირსეულად აღიმაღლა ხმა უსამართლობის წინააღმდეგ და უდიდესი როლი ითამაშა ქართული ენის სახელმწიფო ენად დარჩენის საქმეში. სამწუხაროდ, „ხმის ამაღლებას“ უმტკივნეულოდ როდი ჩაუვლია და მუხრან მაჭავარიანიც ერთგვარი წინასწარმეტყველური განცდით, დამაფიქრებლად სწუხდა მომავალში შესაძლო „დასაღვრელ სისხლზე“ ლექსში „მიმქრალ სიქველეს ღვინო აღვიძებს“ (დაწერილია 1972 წ.):

„მიმქრალ სიქველეს ღვინო აღვიძებს,
ვალს, ისიც ზოგჯერ,
გვახსენებს ისღა...
სისხლზე გოდებენ სხვები
დაღვრილზე,
მე დასაღვრელი მედარდვის
სისხლად...“

აქ უთუოდ პარალელი უნდა გავავლოთ 70-იანი წლებისვე პოეტური ფასეულობებით აღსავსე შემოქმედის – **მურმან ლებანიძის** პატრიოტული ლირიკის შედევრთან „უფლისციხესთან“, რომელიც 1971 წელსაა დაწერილი:

„უფლისციხესთან –
სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი,
არა დაღვრილის, –
დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...
არავითარი სხვა სამშობლო
ამაზე მეტი
არ გამაჩნია!..“

ლექსში სტროფების ბოლო ტაეპი მეორდება, რაც, ჩვენი აზრით, ლირიკული გმირის სათქმელს სათანადო კატეგორიულობითა და ამაღლებული პათოსით გამოხატავს.

ზოგადად, 70-იანი წლების პოეტური ტენდენციებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ ისტორიული წარსული, წინაპართა სახელები, რაც მუხრან მაჭავარიანის იმავე ათწლეულის პოეზიისთვისაა ნიშანდობლივი. მას ლირიკულ გმირებად ხშირად გამოჰყავს ქართველთა სათაყვანებელი ისტორიული პირები – მეფე ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, სულხან-საბა, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე. აქ, თუნდაც, საკმარისი იქნება თუ გავიხსენებთ პოეტის საუკეთესო შედევრს „საბა“.

ვერსიფიკაციის თვალსაზრისით მუხრან მაჭავარიანი და არა მარტო ის, 70-იანელთა უმრავლესობაც, ერთგული დარჩა ნაცადი გზისა, ამ თვალსაზრისით ზემოხსენებულ ათწლეულში მნიშვნელოვანი სიახლების პოეზიაში არ ჩანს – ესაა პოეტური ენის სისადავე, თხრობის უშუალობა და თავისუფლება. პოეტისთვის, თანამოკალმეების მსგავსად, მისაღებია ყოფიერების ყოველი წვრილმანი, რადგან ჭეშმარიტი პოეზიისთვის არ არსებობს უმნიშვნელო დეტალები.

აი, რას წერდა ცნობილი კრიტიკოსი **გურამ ასათიანი** 1979 წელს მუხრან მაჭავარიანის პოეტური ტენდენციების შესახებ: ***„მუხრან მაჭავარიანს თავისი თანმიმდევრული პოზიცია უკავია დღევანდელ ქართულ ლირიკაში. იგი მომხრეა პოეტური გამოხატვის უკიდურესი სისადავისა და ბუნებრიობის. ამ მხრივ მას ბევრი რამ აკავშირებს ჩვენი ეროვნული კლასიკის გარკვეულ ტრადიციებთან, მაგრამ, ამავე დროს, იგი შეგნებულად მიმართავს ამ ტრადიციების გაბედულ უარყოფას, მის რღვევას“.***

70-იანი წლების პოეზიაში სიუხვითა და პოეტური ღირებულებით მნიშვნელოვანია მურმან ლებანიძის პოეზია, მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ამ ათწლეულის ნიშანდობლივი პოეტური ტენდენციები, რომლის სერიოზულობის შეფასება, ჩვენი აზრით, ცალკე განხილვის თემაა.

ბუთქუნა

როლანდ გიორგაძე

თხილნარის ქვეშ უდარდელად წამოწოლილიყო სამიოდე თვის ლეკვი და ღრმა ძილს მისცემოდა. ხანდახან შეხტებოდა, სხეულს დაჭიმავდა, ფეხებსაც აამოძრავებდა, თითქოს წამოხტომას აპირებსო, ცალ თვალს სანახევროდ გაახელდა, მიმოიხედავდა და მერე ფარდასავით ნელ-ნელა დაბლა დაუშვებდა. ალბათ, სიზმარში თუ იყო და ვიღაცას მისდევდა. ისევ ის კუნიახი მეზობლის მამალი იქნებოდა, რომელიც მოსვენებას და საშველს ძილშიაც არ აძლევდა. მზემ შემეჩხერებულ ფოთლებს თავი დააღწია და ბუთქუნა ლეკვის ცხვირპირზე ათამაშდა, მერე თვალებსაც მიეალერსა. შეაწუხა მწველმა მზემ, თავი წამოსწია და ადგილი მოინაცვლა. თავი ჩრდილისკენ შეაბრუნა და ის იყო, ისევ ძილისკენ უნდა მიედრიკა თავი, რომ, უცბად, კუდზე საშინელი ტკივილი იგრძნო. მსწრაფლ წამოსწია თავი და რას ხედავს?! გათავხედებული მეზობლის მამალი გამეტებით უნისკარტებს და უნისკარტებს.

შეირხა, ფეხზე წამოვარდა და ალქაჯ მამალს მიეტანა. ის ჯერ ჰაერში ახტა, ფრთები ააფათქუნა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კისერწაგრძელებულმა მოკურცხლა. ბუთქუნაც გამოუდგა, მაგრამ ვერანამ მოასწრო და ღობეზე შეფრინდა, ფეხი მოინაცვლა და ამაყად გადმოხედა, მერე, ფრთა ფრთას შემოჰკრა, კისერი წაიგრძელა და ომახიანად შეჰყივლა.

ბუთქუნას მეზობლის მამლისაგან გაწყალებული ჰქონდა გული. როგორც კი დროს იხელთებდა, გადმოფრინდებოდა ეზოში და ქათმებს მოსვენებას არ აძლევდა, აკრიახებდა და აწიოკებდა. ბუთქუნა გულზე სკდებოდა, რომ ჯერჯერობით ვერაფერი მოუხერეხა, მაგრამ იმედოვნებდა, ერთ დღესაც იქნება, დაგიჭერ და მაგ აფხორილ კუდს მოგაგლეჯო.

გული ყველაზე მეტად იმაზე სწყდებოდა, რომ მისი ეზოს მამალი ერთი უნიათო ვინმე იყო, გასუქდა, გასივდა, ძლივს დაბაჯბაჯებდა. ყივილიც კი აღარ უვარგოდა, რაღაცნაირად ჩახრინწული და უსიამო ხმა ჰქონდა. გულარხეინად უყურებდა მეზობლის ალქაჯ მამალს, რომელიც მის ქათმებს უმოწყალოდ ქოჩრავდა და ქოჩრავდა.

– ჩამივარდები ხელში! – დაიქადნა ბუთქუნამ და თავჩაქინდრულმა ვაშლის ხისკენ გასწია, რომ უკეთესი ჩრდილისთვის შეეფარებინა თავი.

ის იყო, უნდა მოკალათებულიყო და მორგვივით დახვეულიყო, რომ ავტომანქანის გაბმულმა სიგნალმა ყურები დაუსუსხა და თვალები დააჭყეტინა. წამოიმართა და ყეფა-ყეფით ჭიშკრისკენ გაექანა.

თონეში გადაკიდებულმა ბებომ ნაღვერდლის გაღვივებას თავი მიანება, თეთრი ფერის თავსაკრავი შეისწორა, დაბრაწულ ლოყებზე ხელი ჩამოისვა და წინსაფრის სწორებით, ახალგაზრდა ქალივით მოხდენილი მოძრაობით, წელში გამართული ჭიშკრისაკენ გაემართა. სანამ მივიდოდა, ჭიშკარიც გაიღო და კაფანდარა ქალმა, ორ ბავშვთან ერთად, ეზოში შემოაბიჯა.

– ბებო შემოგევლოთ! – შესძახა ბებომ, ჩაიმუხლა და შვილიშვილები გულში ჩაიკრა, – რამხელები გაზრდილხართ, ჩემო ანგელოზებო, დაგავიწყდათ ბებო?

პატარები აიწურნენ და დედას მიეწებნენ. ბებო ფეხზე წამოიმართა, ხელები დაიფერთხა, წინსაფარზე ჩამოისვა და შვილს გადაეხვია, თან ზურგზე ალერსით უთათუნებდა ხელებს.

– რა არი, შვილო ეს, ცარიელი ნეკნები დარჩენილხარ! – გულდათუთქულმა უთხრა, მერე ოდნავ მოშორდა, შეხედა, ლოყაზე ხელი ჩამოისვა ცრემლმორეულმა და ძლივს წარმოთქვა, – შენს თავს ფარსაგი არ უნდა იყოს, შვილო, ნემსში გასაყრელი ძაფივით გალეულხარ.

– მსუქანი და ძვალმსხვილი ვინ გვყავს, გვარში, დედა! აბა, შენს თავს შეხედე, ვის დავემსგავსებოდი?! წლებმაც კი ვერაფერი დაგაკლო. – გაიღიმა შვილმა და დედას გადაეხვია.

ბუთქუნა ვერ გარკვეულიყო, თუ რა ხდებოდა. თითქოს უცხოები იყვნენ, არადა, ბებო როგორ ეალერსებოდა?

– ნეტავ, ვინ არიან? – მოუსვენრად ცქმუტავდა, ხან შეჰყეფდა, ხან ეზოს შემოურბენდა, ხან ბავშვების ფეხებთან მიაწყდებოდა, შეჰყეფდა და გულს უხეთქავდა პატარებს, რომლებიც დედის კალთას ჩაჰფრენოდნენ. ისევ ეზოში გაიჭრა და ყეფა-ყეფით თონეს შემოურბინა.

ახალგამომცხვარი პურის მძაფრი სუნი იდგა.

– უი! – შეჰკივლა ბებომ, – მგონი, ჩამეწვა პურები. სადაცაა ბერიკაციც მოვა. ბუთქუნა! ბავშვები არ გადამირიო! – შეუწყრა ძაღლს ბებო და თონისკენ გაემართა. – წამოდით, წამოდით, თხილის ქვეშ სკამებზე დასხედით. ძაღლის ნუ გეშინიათ, არაფერს გერჩით, ჯერ ლეკვია.

– დედა, ეგ თუ ლეკვია, როცა გაიზრდება, მერე რაღა იქნება?

– წამოდით, წამოდით! – იმეორებდა ბებო. – ნამგზავრები ხართ, დაისვენეთ, გამოიცვალეთ სამოსი და მაგიდას მიუჯექით. ეხუმრები ამხელა გზას?! ბავშვებს გაუჭირდებოდათ ნამეტნავად. ცოტა მოისვენეთ და სამხრის მერე მდინარეზეც შეგიძლია წაიყვანო.

ძაღლისაგან დამფრთხალი ბავშვები ხან უკნიდან ჩააფრინდებოდნენ დედას კაბაში, ხან წინიდან და, თან, ცნობისმოყვარედ ადევნებდნენ თვალს ბუთქუნას ცელქობას.

– ნუ გეშინიათ, ბავშვებო, ნახეთ, როგორი მხიარული ძაღლია. თქვენი გაცნობა სურს, ამიტომ დაგვდევს. დარწმუნებული ვარ, მალე დამეგობრდებით.

თითქმის დილამდე გასტანა მშობლებთან საუბარმა.

– მესმის მე თქვენი, ძნელია გაურკვევლობაში ყოფნა. ასაკსაც თავისი მიაქვს, თმებზეც კარგა ხანია დაგათოვათ, მაგრამ თქვენი შემართება და ენერგია ბევრ ახალგაზრდასაც კი შეშურდება. აი, ეს მაძლევს იმედს, ამან გადამაწყვეტინა. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტია, რომელზეც მომავალია დამოკიდებული. გული მიკვდება და ცრემლები მახრჩობს, არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება და რამდენ ხანს ვერ გნახავთ. სიკვდილს არ გაეთამაშოთ, სიკვდილი არ გაბედოთ. მე მალე ვერ ჩამოვალ, ცოცხლები უნდა დამხვდეთ. ჩემს შვილებს სჭირდებით. თქვენ უნდა გაზარდოთ ისე, როგორც მე გამზარდეთ. ჩემს ყოფას ყოფა არ ერქმევა, ჩემი თაფლივით ტკბილი, თაფლისფერთვალება, პეპლებივით მოფარფატე გოგონების გარეშე. რამდენ ხანს ვერ ჩავეხუტები ჩემს ანგელოზებს, რამდენ ხანს ვერ ამოვუწმენდ ცრემლიან თვალებს, რამდენ ხანს გამყვება მათი სუნი, მათი წყაროსწყალივით ლიკლიკი – დედიკო, დედიკოო... რამდენ ხანს გავუძლებ მათი კისკასა, უძირო თვალების უნახაობას. თქვენ უნდა მიშველოთ, თქვენ უნდა შემაძლებინოთ! ვიცი, ორმაგად გაგიჭირდებათ, მაგრამ უნდა შეძლოთ, სხვა გამოსავალი არ არის. რა არ ვცადე, ყველგან დაგმანული კარები, ქაოსი და ტაციაობაა ქვეყანაზე. უნდა წავიდე, თუ არა, ქმარი მომიკვდება. მძიმე სნეულება სჭირს, აქამდე გიმალავდით. არ მინდა, გავხდე მიზეზი ჩემი შვილების დაობლებისა, არ მინდა, დაიჩაგრონ უმამობით. ყველაფერი მოგვარებულია. ჩემი ქმრის თანამშრომელია გათხოვილი იქ, უცხოეთში და დავუკავშირდით. – აქამდე ჩამოდი და მე მოგხედავო. ვალი ავიღე, გასამგზავრებელი ფული ვიშოვე. აი, ასეთია ჩემი მდგომარეობა. თქვენი იმედი მაქვს, ვიცი, რომ არაფერს მოაკლებთ ბავშვებს, მაგრამ ისიც ვიცი, დედას ვერავინ ჩაანაცვლებს. ბევრს იტირებენ, მაგრამ მე უფრო მეტად ის მიკლავს გულს, ვაითუ, გადავავიწყდე, ვაითუ, გამიუცხოვდნენ, ან გული გაუცივდეთ ჩემზე. ეს ყველაზე მეტად მაწუხებს, მეტი აღარ შემიძლია, მეტს ვეღარ გეტყვით, გასკდა ეს ოხერი გული. – დაასრულა ცრემლებმომსკდარმა და ბალიშში ჩარგო თავი.

ბუთქუნა და პატარა გოგონები ძალიან მალე დამეგობრდნენ. თავდაპირველად ბავშვები ფრთხილობდნენ, გაურბოდნენ, ახლოს არ იკარებდნენ. ბუთქუნა, მართალია, ტანით მოზრდილი, თითქმის ზრდასრული ძაღლი იყო, მაგრამ გული მაინც ლეკვის ჰქონდა და ვერ გაეგო, რატომ უფრთხოდნენ ბავშვები. პატარები დილდილობით თხილის ქვეშ სუფთა ჰაერზე, მობეტონებულ მაგიდასთან ისხდნენ ხოლმე, ჩაისა და თონეში გამომცხვარ, დაბრაწულ ხაჭაპურს მიირთმევდნენ. ბებო ამბობდა – საქმესაც გავაკეთებ და თქვენც თვალის არეში მეყოლებითო. ბუთქუნაც იქვე გაჩნდებოდა, წამოსკუპდებოდა უკანა ფეხებზე და გოგონებს თვალებში შესცქეროდა. ისინიც ძელსკამზე ჩამომსხდარნი, ფეხებს ჯერ კიდევ ვერ უწვდენდნენ მიწამდე და გაუჩერებლად აქანავებდნენ, თან ჩუმ-ჩუმად ხაჭაპურს ბუთქუნასაც გადაუგდებდნენ, რომელიც ჰაერშივე იჭერდა მსუყე ლუკმას და გახალისებული, ლამის მოტეხვამდე აქიცინებდა კუდს.

მერე წამოდგებოდნენ და ეზოში თამაშობდნენ. ბუთქუნაც სულ გვერდით დაჰყვებოდა, მოშორებით ჩამოჯდებოდა და თვალებში შესციცინებდა. ერთხელ ერთმა გოგონამ, რომელსაც ლიზიკოს ეძახდნენ, გაბედა და ბუთქუნას თავზე ხელი გადაუსვა, ძაღლი გაიტრუნა. ლიზიკომ უთხრა:

– მე ლიზიკო ვარ, ხანდახან ელისაბედსაც მეძახიან და არ გაგიკვირდეს. ეს კი ჩემი დაა, ეკა. მეორე სახელიც აქვს, ეკატერინე. – დაამთავრა გაცნობა ლიზიკომ.

ბუთქუნამ გვერდულად სანახევროდ ასწია თავი და ისე შეაცქერდა პატარას. გუნებაში კი თქვა:

– განა არ ვიცი, შენ რომ ლიზიკო ხარ და ეგ კი შენი დააო, მაგრამ როგორ გაგაგებინო? მე ხომ მარტო ყეფა ვიცი, აი ასე, – უკანა ფეხებზე წამოსკუპდა და შეჰყეფა.

ეკაც მიუახლოვდა და მორიდებითა და შიშით მანაც თავზე გადაუსვა ხელი. ძაღლმა მადლიერების ნიშნად ხელი აულოკა.

გოგონას შეეშინდა, სასწრაფოდ უკან გასწია ხელი.

– ნუ გეშინია, არ იკბინება. ასე იცის მოფერება ძაღლმაო, – ბებიამ მითხრა. და რომ საშიში არაფერი იყო, ისევ გადაუსვა თავზე ხელი ლიზიკომ.

გამხიარულებული ბუთქუნა ფეხზე წამოიჭრა და ყეფა-ყეფით ეზოს შემოურბინა. მერე ბავშვებთან მისუნსულდა, მუდამ სველი ცხვირი მუხლებზე გაუხახუნა, ცოტა დაყოვნდა, შემობრუნდა და ნელი ნაბიჯებით ხუხულასკენ გასწია. მივიდა, წყლით სავსე ჯამში ჩაყო თავი და სვლეპა-სვლეპით წყალს დაეწაფა. მერე ტანი დაიფერთხა და ხუხულაში შეძვრა.

ძალიან ლამაზი სახლი ჰქონდა, ორგანყოფილებიანი. წინკარში მუდამ იდგა წყალი და ბებოსაც მისთვის განკუთვნილი ულუფა აქ მოჰქონდა. ბავშვებს ისე მოეწონათ სახლი, თვითონაც იქ მოინდომეს შეძრომა. ბებო ეზოს გვიდა და რომ დაინახა, ბავშვები რასაც ცდილობდნენ, ცოცხი დააგდო და მსწრაფლ მიიჭრა ბავშვებთან.

– რას შვრებით, ცუგრუმელებო? მანდ შეძრომა როგორ შეიძლება, კბილი არ გაგკრათ, არ დამღუპოთ, ძაღლი მაინც ძაღლია.

ბუთქუნას გულში გაეცინა, ბავშვებს როგორ დავკბენო, ეგენი ხომ ჩემი მეგობრები არიანო. მერე გაგულისდა, გამოვარდა ხუხულადან და ღობეზე შემომჯდარ მეზობლის მამალს დაუწყო ყეფა. მამალი კი აინუნშიც არ აგდებდა, გულარხეინად დაჰყურებდა ზემოდან და ბოლო ხმაზე გაჰყიოდა. რომ ვერაფერი დააკლო, გაგულისებული საქათმეში შეიჭრა, ქათმები საბუდარიდან წამოყარა და გამოენთო. ქათმებმაც კრიახ-კრიახით უშველეს თავს. განა ვერ დაიჭერდა, უბრალოდ, შეაშინა. მერე საქათმეში შევარდა, ახლად დადებული კვერცხი დაყნოსა, წაეთამაშა და მერე კბილიც გაჰკრა, რასაც ბებომ წაასწრო და შეიცხადა.

– მე შენ კვერცხიჭამია ძაღლად არ გამიზრდიხარ! – წაავლო ხელი ქეჩოში და მსხლის ძირში მაგიდის ფეხზე გამოაბა.

იუკადრისა ბუთქუნამ დაბმა, ბევრი იხტუნა, იხტუნა, მაგრამ რომ ვერაფერი გააწყო, ილაჯგამოცლილი მაგიდის ქვეშ შეძვრა და დანაღვლიანებული გაიტრუნა. ბავშვები ძალიან შეწუხდნენ, ბევრი ეხვეწნენ ბებიას, მაგრამ საბელიდან მაინც არ გაათავისუფლა. – მოვა ბაბუა და მან გადაწყვიტოს მისი ბედიო. სასმელი აკლია თუ საჭმელი, მსუნაგი ძაღლი ჩვენ რას გვარგიაო.

ბავშვებმა ძალიან მოიწყინეს. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ბუთქუნას გასართობად სახლიდან თოჯინები გამოიტანეს და სახლობანას თამაში წამოიწყეს. ძაღლი ძალიან დანაღვლიანდა, მოსწყინდა მაგიდის ქვეშ კოტრიალი, წამოვარდა, ატეხა ყეფა, შეხტა მაგიდის თავზე, ცოტა ხანს შეყოვნდა, რომ არავინ მიაქცია ყურადღება, გაბრაზებულმა მაგიდის მეორე მხრიდან მოინდომა ჩამოხტომა. ჩამოხტომით კი ჩამოხტა, მაგრამ საბელის სიმოკლის გამო ფეხები მიწამდე ვერ მიაწვდინა და ჩამოეკიდა. გამწარებული ფეხებს ჰაერში აფართხალებდა და ხროტინებდა. დამფრთხალი ბავშვები მივარდნენ და გაჭირვებით გაათავისუფლეს საბელისაგან. ბუთქუნა ძირს დაენარცხა. ერთხანს უსულოსავით ეგდო მიწაზე. მერე წამოიწია, ბავშვების ფეხებთან მილასლასდა და შეშინებულებს მადლიერების ნიშნად ლოკვა დაუწყო. თან ფიქრობდა, ამ ამაგს არასოდეს დაგივიწყებთო.

მიუხედავად ყველაფრისა, ბებომ ძაღლი მაინც დააბა. საღამოს კი ბაბუას მოახსენა ბუთქუნას ვაჟკაცობის ამბავი. ბაბუას არც გაჰკვირვებია და არც შეუცხადებია ბებოსავით, ერთი კი თქვა, მე ვასწავლი მაგას ჭკუასო. მეორე დღეს ბაბუამ საქათმისკენ გასწია, დიდხანს ბურჯალობდა იქ რაღაცას, მერე სახლში შევიდა და შვილიშვილებიც გამოიყვანა ეზოში.

– რა ვქნათ, ბავშვებო, ავუშვათ ძაღლი თუ არა?

– ავუშვათ, ბაბუ, ავუშვათ! – შესციცინეს პატარებმა.

საბელიდან გათავისუფლებული ფეხზე წამოვარდა, გაიზმორა, ბავშვებსაც გაეთამაშა, თან ხელებში შეაცქერდა, მოშიებულს იქნებ რამე სასუსნავი მიწილადონო. რომ ვერაფერი მიიღო, კუჭაწრიალებულმა დიდხნას ისუნსულა ეზოში, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, საქათმისკენ გავარდა.

პატარა ხანში ძაღლის საშინელი წკავწკავი მოისმა. გამოვარდა საქათმიდან და შლეგიანივით დაიწყო სირბილი. მივარდა თავის ხუხულასთან და წყლით სავსე ჯამში ყურებამდე ჩარგო თავი. ბოლომდე შესვა და პატრონს მომლოდინე თვალით დაუწყო მზერა. ბაბუამ ისევ ჩამოუსხა წყალი, ისიც სულმოუთქმელად შესვლიპა და მერე თავჩაღუნული ჩრდილისკენ გაიძურწა. თავი თათებში ჩარგო და ენაგადმოგდებული ქელავდა.

– რა სჭირს ამ ძაღლს, კაცო?! ცოფიანივით დარბის ენაგადმოგდებული.

– არაფერიც არ სჭირს, ჭკუას სწავლობს თავისი მსუნაგობისათვის. გაკვეთილი მკაცრია, მაგრამ აუცილებელი.

თურმე ბაბუას პილპილით გამოუტენია კვერცხი და დამშეულ ბუთქუნას შეუსანსლავს. ერთი სამჯერ კიდევ გაიმეორა ბაბუამ ჭკუის სასწავლი გაკვეთილი და ბუთქუნამაც სამუდამოდ მიატოვა საბუდარისკენ გახედვა. ის კი არა, ნაჭუჭებსაც ღრენით უვლიდა ხოლმე გვერდს. ბაბუას კი კარგა გვარიანად გაებუტა და აღარც საძოვარში დაჰყვებოდა. სამაგიეროდ, ბავშვებს მიეკედლა და მთელ დღეს მათთან ატარებდა.

დედამ კიდევ სამი დღე დაჰყო ბავშვებთან. ცრემლმორეული ბევრს ეფერებოდა, ეთამაშებოდა. არიგებდა, ბებოს და ბაბუას დაუჯერეთო, არ გააბრაზოთ, თქვენ ხომ ჩემი ჭკვიანი გოგოები ხართო. უკვირდათ ბავშვებს და თავადაც აცრემლებულნი ეკითხებოდნენ, – რატომ ტირი, დედიკოო, ხომ არაფერი გტკივაო? – არა, არ ვტირი, ეს ალერგიის ბრალიაო და ცრემლიან თვალებს იწმენდდა. ბავშვები წუხდნენ, ვინ არის ეს ალერგია, დედიკოს რომ ატირებსო.

საქმეებს რომ მოათავებდნენ დიდები, სადილობის შემდეგ დედიკოს პატარები მდინარეზე დაჰყავდა საბანაოდ. იქ ერთი ამორჩეული ადგილი ჰქონდათ. ერთი მხარე კლდიანი იყო, ძირი ლიპქვიანი, თავს კი ხშირი ლეღვის ხეები ქუდივით უფარავდა. ზოგიერთი მათგანის ტოტები ისე გადმოღუნულიყო, რომ მდინარემდე წვდებოდა. ბავშვებიც ჩამოეკიდებოდნენ, ხან ირწეოდნენ, ხანაც ფეხებს უბათქუნებდნენ წყალს. საბანაო ადგილი კაცის თვალს მოშორებული იყო და ქალებითა და ბავშვებით ივსებოდა. ბავშვებს ძალიან მოეწონათ საბანაო, მისი სილიანი ნაპირი, წყლიდან ამოცვენილები, სიცივისაგან ლამის გალურჯებულები, სილაზე გაგორდებოდნენ და მცხუნვარე მზეს ეფიცხებოდნენ.

იმ ადგილას წყალი მდორედ მოედინებოდა, გეგონებოდა, დგასო და არც თუ ისე ღრმა იყო. ოდნავ ქვემოთ, მოსახვევში, დამრეცზე, წყალი ჩქარა მიედინებოდა და საკმაოდ მაღალ ჩქერალებს ქმნიდა. დედა გამუდმებით აფრთხილებდა პატარებს, იქით არ გაგექცეთ თვალი, არ დამღუპოთო. ბუთქუნაც, რა თქმა უნდა, თან ახლდა. ჯერ ნაპირს მიადგებოდა, მოსვამდა წყალს, მერე პატარაზე შევიდოდა, სანახევროდ დასველდებოდა და გოგონებისკენ გაექანებოდა. მიირბენდა, ტანს დაიფერთხავდა და სილაზე წამოწოლილ ბავშვებს გვარიანად გაწუწავდა. ისინიც წიოკობდნენ, წამოვარდებოდნენ და ბუთქუნას გამოუდგებოდნენ. კუდამოძუებული ძაღლი მაყვლის ბუჩქთან წამოწვებოდა, გაჰყურებდა მოთამაშე ბავშვებს და უკვირდა, ნეტავ, რას მერჩიანო. თვითონაც სურდა სილაში გადაგორება.

ბავშვებს ძალიან გაუჭირდათ უდედობა. ყოველ დილით თვალცრემლიანები იღვიძებდნენ და ბებოს ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ, – რატომ მიგვატოვა დედიკომო, როდის მოვაო. გულდამძიმებული ბებო ბავშვებს, როგორც შეეძლო, ამშვიდებდა, გულში იკრავდა და პასუხობდა: – დედიკოს ისეთი სამსახური აქვს, ჯერჯერობით, ვერ ჩამოდისო. რომ ჩამოვა, უამრავ სათამაშოსა და ნახატებიან წიგნს ჩამოგიტანთო. ისინი კი ნამტირალევი სახით პასუხობდნენ, არ გვინდა სათამაშოები, დედიკოსთან ჩახუტება გვინდაო.

დრო კი არის ყველაფრის მკურნალი, მაგრამ გულში ისეთ ნაწიბურებს ტოვებს, ჟამთაცვლაც კი ვერ აქრობს. ბუთქუნა წამოიზარდა, დამშვენდა და მეტად გონიერი და ღონიერი ძაღლი გახდა. იმდენად ღონიერი, რომ მასზე ამხედრებულ ბავშვებს ეზოში დაარბენინებდა. ვერ სცილდებოდა მათ, ყველგან დაჰყვებოდა, ყველგან, სახლის გარდა. სახლში ფეხს ვერ შეადგმევინებდი, შესასვლელთან, კიბის ძირში წამოწვებოდა და მოთმინებით ელოდებოდა ბავშვებს. ისინი კი ყველაზე კარგად თავს მდინარის პირას გრძნობდნენ. თამაშობაში გართულთ იქ ყველაფერი ავიწყდებოდათ და საღამომდე ჭყუმპალაობდნენ. ბუთქუნაც ტოლს არ უდებდა. თავდაპირველად ცოტათი ერიდებოდა წყალს, მერე და მერე გაუშინაურდა და მათთან ერთად გადაეშვებოდა მდინარეში. გოგონები ხან კისერზე ჩამოეკიდებოდნენ ხოლმე და ხანაც კუდზე.

იმ დღეს ბებია თავს შეუძლოდ გრძნობდა და ბავშვების მდინარეზე წაყვანა გადაიფიქრა. ბავშვებმა ძალიან მოიწყინეს. ბუთქუნასაც გადაედო ბავშვების უხასიათობა და კუდამოძუებული ხუხულაში შეძვრა, წინა თათებზე თავი ჩამოდო და ნახევრად მოჭუტული თვალებიდან უხალისოდ უცქერდა ეზოში შემოპარულ მეზობლის მამალს. ვერ იყო გუნებაზე და არც თავი ჰქონდა გამოდევნების. თვალებმილულულს ქალის ძახილი შემოესმა:

– მარინე! მარინე!

ტახტზე წამოწოლილი ბებო წამოიმართა და ჭიშკრისკენ გაემართა.

– რომელი ხარ, რომელი?

– თამრიკო ვარ, თამრიკო!

ბებომ ჭიშკარი გააღო და მეზობლის ქალს ეზოში შემოუძღვა. მეზობელს არ მოეწონა ფერმიხდილი ბებოს სახე.

– ცუდად ხომ არ ხარ, მარინე?

– ჩემს მდგომარეობაში ქალი კარგად როგორ იქნება! ერთი გოგო მყავს, ისიც გადაკარგულში, მომკლა ფიქრებმა. იქით ის იტანჯება, აქეთ ჩვენ – და ბავშვებს გადახედა. ვკვდები მაგენის საცოდაობით, სულ დედა, დედას გაიძახიან. აღარც გული მივარგა და აღარც ნერვები. არ გინდა, გაუძლო თვალცრემლიანი ბავშვების ცქერას?! კიდევ კარგი, მდინარე ჩამოუდის ჩვენს სოფელს. იქ ყველაფერი ავიწყდებათ, ერთობიან. ბუთქუნაც ძალიან მეხმარება, ართობს ბავშვებს. ასეთი ჭკვიანი ძაღლი ჯერ არ შემხვედრია. ნახე, როგორი მოწყენილია. ბავშვებს ვუთხარი, შეუძლოდ ვარ და დღეს მდინარეზე ვერ წაგიყვანთ-მეთქი და, ხომ ხედავ, რა მოწყენილები არიან. ძაღლიანად ყველამ ჩამოუშვა ცხვირი.

– შენ მაგაზე არ იდარდო. საცერისთვის გადმოვედი შენთან. ჩემსას გვერდი გამოერღვა, ფქვილი მაქვს გასაცრელი. ცომს მოვზელ, სანამ აფუვდება, მდინარესაც მოვივლით. ჩემებსაც წამოვიყვან, ისინიც კარგა ხანია, არ ყოფილან მდინარეზე.

– მეშინია, გოგო, ძალიან ცელქები არიან, რამე არ შეემთხვეთ. ასი თვალი და ყური უნდა გამოიბა. ლიზიკოს მაინც სულ ჩქერებისკენ უჭირავს თვალი, დაჯდება და უყურებს იმ ჩქერალებს, არ გაგეპაროს იქით.

– რას ამბობ, ქალო, პირველად ხომ არ მივდივარ?! ჩემები უკვე დიდები არიან, ისინიც მიაქცევენ ყურადღებას. შენ მაგაზე არ ინერვიულო!

წინა დღეებში წვიმდა. მდინარე ჯერ კიდევ ვერ ჩამჯდარიყო ჩვეულ კალაპოტში და შედარებით მღვრიეც იყო. თამრიკომ ბავშვები მკაცრად გააფრთხილა, აქვე ითამაშეთ, ნაპირზე, წყალში ღრმად არ შეხვიდეთო.

ბუთქუნა მისვლისთანავე წყალში გადაეშვა, გაცურა, გავიდა გაღმა ნაპირზე, ბეწვი დაიფერთხა და წინ და უკან დაიწყო სირბილი. ცოტა ხანს შეყოვნდა, იქაურობა დაყნოსა და ისევ ბავშვებისაკენ გამოცურა. ხის მორივით მოცურავდა, მხოლოდ თავი და, ხანდახან, კუდი გამოუჩნდებოდა ხოლმე. გამოვიდა გამოღმა, დაიფერთხა ისევ და ბავშვების ფეხებთან წამოწვა. ლიზიკომ საიდანღაც სავარცხელი გამოაძრო და ძაღლის ბეწვის დავარცხნას შეუდგა. სავარცხელს ეკატერინეც წაეტანა, – მომეცი, ახლა მე უნდა დავვარცხნოო. სხვა ბავშვებიც მოცვივდნენ და დაუწყეს ძაღლს ჩქმეტა და ჯღვლემა. შეწუხებული ძაღლი წამოვარდა, მაყვლის ბუჩქებთან მიირბინა, წამოწვა და თათებში ჩარგო თავი.

ლიზიკოს მოეწყინა, ბავშვებს განერიდა, ბუთქუნასთან მივიდა, გვერდზე მიუჯდა და მოეხვია. ძაღლი გაიტრუნა. პატარა ხნის მერე ადგა და წყლის ნაპირს თავქვე დაუყვა. თხმელის ძირში მოზრდილ ფესვზე ჩამოჯდა, ფეხები წყალში ჩაყო და ჩქერალებს გაუშტერა თვალი. დიდხანს უმზერდა, მერე ძირს დაიხედა. წყალში ათამაშებული თხმელის ფესვები წითელი თევზებივით ელამუნებოდნენ ფეხებზე. წამოსწია თავი და ისევ ჩქერალებისკენ გაექცა მზერა. შუა წყალში მოზრდილ, სლიპინა ქვას წყალი ხან გადაევლებოდა და დაფარავდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა. გადავლებისას ისე აიფოფრებოდა ტალღა, რომ მზის სხივების დაცემისას დაკვირვებული თვალი ცისარტყელას გაკრთომასაც შეამჩნევდა. მორიგი ტალღის აქოჩვრისას ცისარტყელაში დედის სახე გაილანდა. წამოდგა ბავშვი, წყალში შეაბიჯა: – დედიკო, დედიკო, – ბუტბუტებდა ტუჩები. ქვევით არ იხედებოდა და თავაწეული მიაბიჯებდა. ბევრი აღარ ჰქონდა დარჩენილი ქვამდე, რომ წყალმა ფეხებში ცელივით გამოუსვა, საყრდენი გამოაცალა და თავქვე გააქანა. სანამ წყალი ჩააყურყუმალებდა, ერთის დაძახება მოასწრო მხოლოდ: ბუთქუნაო...

გონს რომ მოვიდა და თვალი გაახილა, ნახა, რომ უამრავი ადამიანი დახვეოდა თავს. ეკატერინე ჩახუტებოდა და გულამოსკვნილი ტიროდა. თვითონაც ცრემლები წასკდა, დაიკოს ჩაეხუტა და წასჩურჩულა: – მე იქ დედიკო ვნახეო. მერე იკითხა, ბუთქუნა სად არისო?

– მოდის, მოდის! – დაიძახა ვიღაცამ.

შეჯგუფული ხალხი შუაზე გაიყო, საპატიო ყარაულივით ჩამწკრივდნენ და გზა ამაყად მომავალ ბუთქუნას დაუთმეს. მერე, ვიღაცამ ტაში დაუკრა.

– ყოჩაღ, ბუთქუნა! ყოჩაღ, გადამრჩენო!

სხვებიც აჰყვნენ და რამდენიმე წუთის წინ დაზაფრული ხალხი მხიარული შეძახილებითა და ტაშის ცემით მიაცილებდა ძაღლს.

ბუთქუნა პატარებს მიუახლოვდა, ჯერ უკანა ფეხებ ზე ჩამოჯდა და თვალებით მიეალერსა, მერე აწკმუტუნებული მიხოხდა მათთან და, თვითონაც თვალცრემლიანი, ხან ერთს აულოკავდა ცრემლიან ლოყებს და ხან მეორეს.

ზელიმხან მაღრაძე
(გაცნობა)

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

მთელი ღამე გაათენეს კოტემ და ლევანმა. არჩევანი კოტეს ეკუთვნის, ისაა სპელეოლოგი და გეოლოგი. მთაში ამხელა ტვირთს ატანა უნდა, ხალხია საჭირო, თანაც, ბევრი. ეს საქმე მხოლოდ შვიდ-რვა კაცმა თუ იცის და მეტს ვერავის ანდობენ. იმ შემთხვევაში თუ გერმანელები კავკასიონს გადმოლახავენ, იქ ვინღა ავა; საჭიროა სხვა გამოსავალი ეძებონ და კოტე ირჩევს მდ. ხრამის ხეობაში ბუნებრივ გამოქვაბულს, სადაც მთის თავზე მანქანით შეიძლება მისვლა და თოკით ჩაშვება. ეს მღვიმე გოგი ლომთათიძესთან ერთად აღმოუჩენია და ვახტანგ ბერიძის გარდა ჯერ არავინ იცის. კოტე სამხედრო რუკაზე უნიშნავს ამ გამოქვაბულის ზუსტ კორდინატებს და მთელი მარაგი ცვილისა და პარაფინისა უკვე ადგილზეა.

მერე ეს ცვილი 1965 თუ 1966 წელს კოტეს და გოგი ლომთათიძეს უნახავთ; ფუტკარს თითქმის სულ გაეზიდა, აი პარაფინი კი – ხელუხლებელი იდო თურმე.

მათი მეცადინეობით და თავგანწირვით, გერმანელები ვერ შემოვიდნენ საქართველოში, შესაბამისად, ხელნაწერების გახიზვნა-გადამალვა აღარ გახდა საჭირო. აღარც ამ საიდუმლო, იატაკქვეშეთური დაჯგუების არსებობა იყო


ლევან გოთუა

ეროვნული ნიგნი

აუცილებელი და ზუსტად ბოლო შეკრებაზე დაიჭირეს მთელი დაჯგუფება. ერთ-ერთი მათგანის ცოლმა, როგორც ამბობენ, იეჭვიანა საკუთარ ქმარზე და დაურეკა თავის ნაცნობ უშიშროების მაღალჩინოსანს, – სადღაც კრებაზე წავიდა და, გადაამოწმე, ხომ არ „მღალატობსო.“ მასაც „ოპერატიულად“ უმოქმედია და ყველანი აიყვანეს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კრინტი არავის არ დაუძრავს, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი. მერე როსტოვში გაირჩა საქმე, იქ დაადგინეს, ვინ გასცა და, შესაბამისად, მან თავის ცოლს წერილი გამოუგზავნა: „გათხოვდი, არც გაბედო ჩემი დალოდება!“

პოლიტპატიმრები და ქურდები ერთმანეთთან როსტოვში შეურიეს. ქურდები შეეცადნენ „ვერხი“ აეღოთ იმთავითვე და პოლიტპატიმრების „ლეიბქვეშ“ შეტენვა და დაჩმორება გადაწყვიტეს. მათ შორის დაპირისპირებაც კი მოხდა, რაც ხელს აძლევდა მთავრობას, ამიტომაც ყურიც არ შეუბერტყავთ.

მაშინ ლევან გოთუა წამომდგარა, როგორც ძველი კატორღელი და ქურდების ლიდერი გამოუწვევია სააჯოდ. თითქმის ორი საათი უვლიათ წინ და უკან დერეფანში და იყო ჯახი ორი „ყოჩის რქებისა“, დროდადრო ქურდი ვიღაცას დაუძახებდა ხოლმე და რაღაცას ჰკითხავდა. გოთუა, როგორც სალი კლდე, ისე იდგა – მშვიდი და, რაც მთავარია, სიყვარულით აღვსილი. ბოლო წინადადება, რაც ქურდმა თქვა, ეს ყოფილა:

– „Я же не пацан, я на мокрую не пойду!... Да ты прав!“ და, ქურდების ავტორიტეტმა უკან დაიხია, რომელიც მოგვიანებით ლევან გოთუას ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლსაც ითამაშებს...

გზა ვარკუტამდე ძნელი აღმოჩნდა, – სიცივე, დამცირება და, რაც ყველაზე გაუსაძლისი აღმოჩნდა – ტილები! ლევან გოთუა აქაც უზიარებს თავის გამოცდილებას და გასცემს განკარგულებას – ყველამ გაიხადოს საცვლები და რამდენიმე წუთით გაჰკიდონ ფანჯრის მიღმა. ორმოც გრადუსიან ყინვას ტილები ვერ უძლებენ და მერე ისიც საკმარისია, დაფერთხო, რომ ჩამოცვივდნენ. ასე შარვალი და ხალათიც შეიძლება „გაამზეუროს“ კაცმა და...

ასევე აუტანელი საშინელება მაინც წინ ელოდათ. აი ისიც დადგა: ეს იყო თვითმკვლელობები, რომელიც ძალზე გახშირდა ბანაკებში. იმ დამცირებას და აუტანელ ყოფას ვერ უძლებდნენ ვაჟკაცებიც კი და მარყუჟში ჰყოფდნენ თავს. ფიქრის დრო რომ აღარ ჰქონოდათ, კოტე ჯავრიშვილმა თითქმის ყველა ქართველი გვირაბში ჩაიყვანა (კოტე „შახტის“ უფროსი იყო), სადაც ზედამხედველებთან საერთოდ არ ჰქონდათ შეხება და პურიც ორმაგად ეძლეოდათ (მოგვიანებით მომსწრე გავხდი იმისა, მის საფლავთან როგორ გოდებდნენ: – „შენ რომ არა, ჩვენ ცოცხლები ვერ დავბრუნდებოდითო!“).

ლევან გოთუას „სასათბურე“ პირობები მოუწყეს იმისათვის, რომ წერა შესძლებოდა. ძალიან ძნელია წერო, მითუმეტეს, ისტორიული რომანი, როცა სრულიად არ გაგაჩნია არავითარი პირობები, ასევე ერთი წიგნიც კი.

– „მე გადასახლებაში თან მქონდა მსოფლიო ბიბლიოთეკა და ეს ბიბლიოთეკა იქ გადასახლებული ინტელიგენცია იყო“, – იტყვის მერე ლევან გოთუა. – „ჩემი გმირები ძალიან ჰგვანან იქაურ ბიჭებს, მათი ხასიათები და სახეები გადავიტანე ქაღალდზე... მეფე ალექსანდრე არც მიძებნია, ის თავიდანვე იყო კოტე ჯავრიშვილი, მთაში ათასგზის გამოცდილი, ჭეშმარიტად სამეფო გულის და ხასიათის მქონე. უფლისწული გიორგი დიდხანს ვეძებე, ხოლო დავითი – იქვე ახლოს მყავდა...“

მთასვლელობა განსაკუთრებული ნიჭით და მამაცობით დაჯილდოვებული ადამიანების საქმეა, მთაში ყველასთან ვერ წახვალ, ყველას ვერ ანდობ საქმეს და საკუთარ სიცოცხლეს, კლდე დაუნდობელია, მითუმეტეს, ყინული და თოვლი. ძარღვიც და ნერვიც მშვილდივითაა დაჭიმული, პატარა შეცდომასაც არ გაპატიებს მთა და მყინვარი, იქ ყველა ერთია და ერთი – ყველა, მაგრამ რაოდენ ბედნიერია მთასვლელი, როცა გვერდით ღირსეული ადამიანი ახლავს. საპყრობილე და გადასახლება სულ სხვაა – ირგვლივ უნდობლობა სუფევს, ამაზრზენი და კოშმარული; არც ამას დაუთრგუნავს მათი გონება, რადგან იცოდნენ, რომ ერთი და იმავე თიხისაგან იყვნენ შეზელილნი და განსხვავება მხოლოდ მექოთნეში იყო.

კოტეს ჯიბეში თავისი მექოთნის, ე.ი. მისი პედაგოგის და მასწავლებლის, გამოჩენილი მეცნიერის, ალექსანდრე თვალჭრელიძის ფოტოსურათი ედო – ხშირად დახედავდა ხოლმე, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ერთ მხატვარს, რომელმაც ჰკითხა თურმე:

– ეგ კაცი მამაა შენი?– რაზეც კოტეს უპასუხია:

– არა, მასწავლებელია! – ახლა მთლად გაოგნებულა კაცი.

– ამ ჯოჯოხეთში, სადაც გულიდან ყველანაირი სიყვარული და სათნოებაა ამოგლეჯილი, თუ ვინმეს, სადღაც, გულის სიღრმე-კუნჭულში, სულ მცირე ადამიანური გრძნობა მაინც შემორჩენია, ის ადგილი, ალბათ, მხოლოდ ოჯახს ეკუთვნის – სხვა გრძნობა ვერ უნდა ეტეოდეს იქ, შენ კი მასწავლებლის სურათი ხატებასავით ჯიბით დაგაქვს?..

მთელი ღამე ფიქრში გაუტარებია მხატვარს და დილით თავს დასდგომია:

– „მომეცი ეგ ფოტო სურათი და მე დიდ პორტრეტს დაგიხატავ“.

დახატა კიდეც – 35x45-ზე.

2015 წლამდე ეს პორტრეტი ჯავრიშვილების ოჯახში ინახებოდა, მათგან დიდი ხანია ცოცხალი აღარავინ დარჩა და ლინას შვილებმა, – ირაკლი ვართაგავამ და ია რჩეულიშვილმა, თვალჭრელიძის ნაშიერს გადასცეს.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებამდე, ალექსანდრე თვალჭრელიძე რუსეთში მოღვაწეობდა, დიდი მეცნიერის – კურჩატოვის გვერდით. მას, შემთხვევით, მატარებლით ივანე ჯავახიშვილთან ერთად უმგზავრია. ჯავახიშვილს გამოუკითხავს ყველაფერი და ბლოკნოტში ჩაუნიშნავს მისი გვარი და უნივერსიტეტის გახსნისთანავე შეუთავაზებია კათედრაზე მუშაობა. მრავალ სახელოვან შეგირდთა შორის კოტე ჯავრიშვილიც იყო. გავიდა დრო და თვალჭრელიძე ქუთაისის ბაზარში გლეხის ქალს გადაჰყრია, რომელიც თირის მინერალს ჰყიდდა, როგორც თმის დასაბან საშუალებას. დაწვრილებით გამოჰკითხა თუ საიდან იყო ამ მინერალის წარმოშობა და ყველაფერი ჩაინიშნა, მინერალი კალათიანად იყიდა და უნივერსიტეტის ლაბორატორიაში საკმაოდ დიდი ხნით დადო. ამ დროს ბაქოს ნავთობგადამამუშავებელი საწარმო ნავთობის გასაფილტრად ფლორიდის კუნძულებიდან საკმაოდ ძვირადღირებულ თიხას იყენებდა, რომელსაც ამერიკული კომპანია ვალუტის ფასად ჰყიდდა. თვალჭრელიძე ქუთაისში ნაყიდ მინერალს ცდის ნავთობის გასაფილტრად და შედეგი მოლოდინს აჭარბებს, ქუთაისური თირი ბევრად უკეთესი აღმოჩნდა! ის თავის მოწაფესთან ერთად თირის ნიმუშით მიემგზავრება ბაქოში, სადაც ხდება მინერალის გამოცდა. მასთან კუპეში ამერიკული კომპანიის წარმომადგენელი შემოდის და, იმისათვის რომ უარი ათქმევინოს თირის ბაქოში წარმოჩენაზე, სთავაზობს ერთ მილიონ დოლარს. თვალჭრელიძე უარზეა, თანხა იზრდება და... სთავაზობენ ათ მილიონს, თხუთმეტს, ოცს და, ბოლოს, ოცდაექვს მილიონს. ეს გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ასტრონომიული თანხაა. ამაზეც უარს ამბობს თვალჭრელიძე და პასუხობს, რომ

ლევან გოთუა ბეთანიის ეკლესიაში

იგი არ იყიდება!

გადასახლებაში მყოფი კოტე ჯავრიშვილი და ლევან გოთუა მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების ვერ გამოყენებას დაეჭიდნენ და დაუწყეს ბრძოლა. ისინი, როგორც ნამდვილი რაინდები, ტყვეობას მარცხად არ აღიქვამდნენ და, შესაბამისად, არ ნანობდნენ; არც გამარჯვებები აღუნიშნავთ ზარ-ზეიმით. ისინი მხოლოდ შელახული ღირსებების აღდგენაზე ფიქრობდნენ და სჯეროდათ, რომ აღდგებოდა სამართალი, როგორც მონუმენტი კამანდოსისა და შელახული ღირსების დასაბრუნებლად პასუხს მოსთხოვდნენ მავანს.

მაგრამ იქამდე ცოლ-შვილის და თავიანთი აღმზრდელ - მასწავლებლების ღირსება იყო გადასარჩენი, ამას კი დრო სჭირდებოდა.

დრო... ვერც ერთმა ფილოსოფიურმა მიმდევრობამ ვერ ამოხსნა ეს ამოცანა. ის, თავისთავად, არავის შეაწუხებდა, რომ არ იყოს სივრცე. სივრცე – დროში, ე. ი. ქმედება დროში. ქართველებმა მას „წუთისოფელი“ უწოდეს, მაგრამ ზოგიერთმა თავიანთი ქმედება ისე გაანაწილეს, რომ დაწყებული საქმე მასვე მოესწრო, რათა მისი სახელი დარქმეოდა და გარკვეული დროის შემდეგ, როცა ის აღარ იქნებოდა ცოცხალი, მის სახელს დროსთვის გაეძლო. ზოგმა დაიწყო – საქმეს დასაბამი მისცა და არ უფიქრია, მოასწრებდა თუ არა. უბრალოდ, დაიწყო და შთამომავლობას დაუტოვა დასამთავრებლად, ან სამუდამოდ, როგორც საჯილდაო ქვა, რათა ადამიანის არც აზრი, არც ქმედება, არ ამსუბუქებულიყო და დროში არ გაწყალებულიყო. მხოლოდ ქრისტე ღმერთმა დაუსვა წერტილი ამ საიდუმლოს: დრო – წარსული, აწმყოც და მომავალიც ეკუთვნის უფალს. და ადამიანიც უფალთან ერთად, ე.ი. დროსთან ერთად, მარადიულია! საფიქრალიც აღარ უნდა ჰქონოდათ ჩვენს გმირებს, მაგრამ იმ საწნახელში, ისინი დროის ბოძებულ მარაგს იძულებით ხარჯავდნენ, ჰაერი არ ჰყოფნიდათ და მათ მოქნეულ ნიჩაბს აზრი ჰქონდა გამოცლილი. კოტეს იქ, მინისქვეშეთში, სამუშაო ოთახი მისცეს, სადაც დიდი კედლის საათიც ეკიდა მქნევქარათი, რომელიც ზუსტ დროს ასახავდა. მისი წიკ-წიკი ძალზე მოქმედებდა მის ნერვებზე, ამიტომ გააჩერა, რითაც ზედამხედველის რისხვაც დაიმსახურა. კოტეს კი დრო აღარ აინტერესებდა, მაშინ საათის მქნევარა დააგრძელა, რათა დრო გაეწელა, მაგრამ მზის ამოსვლა-ჩასვლას ვერაფერი მოუხერხა, ვერ შეაჩერა და მიყუჩდა, ისღა დარჩენოდა, ღმერთს მინდობოდა. ზედამხედველი და მზე ულმობელნი იყვნენ თავიანთი საათით, ე.ი. დროთი. ცოტა ხანში ეს დროც დასაფასებელი გახდა, რადგან მისმა ქმედებამ აზრი შეიძინა. საათმა კვლავ ზუსტი დროს ჩვენება დაიწყო...

ასე ხდებოდა, როცა ფიქრები იტაცებდა, ის მაშინ საქართველოში გადასახლდებოდა ხოლმე, თავის ოჯახში, ცოლთან, შვილებთან, უფრო ხშირად, მთაში დანავარდობდა ოცნებებით. ამ დროს ყველაფერი ავიწყდებოდა და იმ სინამდვილესაც ვერ გრძნობდა, რომელშიც იგი იყო. მერე ერთს ამოიკვნესებდა და გულის სიღრმიდან აღმოხდებოდა: – „სადაურსა სად წაიყვან...“ – იტყოდა და ამით უბრუნდებოდა ნამდვილ სამყაროს.

– ეს რა ამოგიჩემებია, სულ ერთსა და იმავეს რომ იმეორებ, რას ნიშნავს, ან რას ამბობ? – შეეკითხება კოტეს უნო უსოსი, – ისიც კატორღელი, ტალინელი პატრიოტი.

– რუსთაველია, – უპასუხებს კოტე.

– ვინ არის რუსთაველი?

– პოეტია, მეთორმეტე საუკუნის გენიალური პოეტი, მისი უკვდავი პოემიდანაა, – „ვეფხისტყაოსანი“ ჰქვია.

– არსებობს კი თარგმანი, კაცმა რომ წაიკითხოს?

– არსებობს! – მიუგებს კოტე, – ოღონდ იგი ორიგინალში უნდა წაიკითხო, მისი თარგმნა შეუძლებელია, ან მისი მთარგმნელი უფრო დიდი გენიოსი უნდა იყოს, ვიდრე თვითონ რუსთაველია, – უპასუხებს კოტე.

– მაშინ, მასწავლე ქართული! ჩვენ ხომ არსად გვეჩქარება? – ძნელი იყო არ დათანხმებულიყო კაცი.

და, კოტე ჯავრიშვილი სთხოვს მეუღლეს – თინა ავალიანს, – გაუგზავნოს გრამატიკის წიგნი. თინა გაუგებრობაშია, არ იცის, რას უნდა ნიშნავდეს „გრამატიკის წიგნი“; ბოლოს როცა კოტემ თბილისის საპყრობილეში მოითხოვა რაღაცა წიგნი, იგი ერთ კვირაშივე დაბრუნა. მაშინვე დაიწყეს ჩხრეკა წიგნისა, რაიმე მინიშნება ხომ არ დაგვიტოვაო, 58-ე გვერდი იყო ჩაკეცილი... ე.ი. 58-ე სტატიით ასამართლებდნენ – „სამშობლოს ღალატისთვის.“ ახლა კი გრამატიკის წიგნი... და, ეგონათ, რომ ენის სასწავლად დრო არ ეყოფოდათ, თითქოს არაფერი, „ვეფხისტყაოსანი“ უნდა წაიკითხონ ძველქართული სიტყვებით და ახლა „ვეფხისტყაოსანს“ სთხოვს კოტე, რომ გაუგზავნონ. წაკითხვაც რა დიდი ბედენაა, უნო უსოსიმ ეს წიგნი უნდა გაიგოს, შეიგრძნოს, შეისისხლხორცოს, რომ მერე თარგმნოს თავის მშობლიურ ენაზე, როცა ის სამშობლოში დაბრუნდება... აი, რა უნდა ჩაუტანოს დედას, მამას, ცოლ-შვილს... ჰო, კარგი, ცოლს ყვავილებს მიართმევს, შვილებს ჩაეხუტება და პირობას მისცემს, რომ იგი აღარასოდეს დაშორდება მათ, მაგრამ სამშობლოს რაღას მიუტანს ისეთს, რომ უთხრას: – აჰა, ჩემი სიცოცხლის ნაწილი, აჰა, ის დრო, რაც მე მოგაკელი და რაც ამ დროში დავაბანდე, შენს საკურთხეველზე მომიტანია ის, რისთვისაც ღირდა, რომ დაგშორებოდიო.

ასეთივე პასუხისმგებლობას გრძნობენ კოტე ჯავრიშვილი და ლევან გოთუა. ამიტომ იწყალებენ თვალებს და დღედაღამ მუშაობენ. უნო უსოსიც მათი ქმნილებაა... კოტე იქ, გადასახლებაში, თარგმნის ბალზაკს, ლევან გოთუა შექმნის თავის უკვდავ ისტორიულ რომანს „გმირთა ვარამს“, რომლის თანამონაწილენიც თვითონ არიან. ისინიც გმირები და მათი ვარამიც ხომ ვარამია, მათ ამ ვარამით ეპოქა შექმნეს. ეპოქა ვარამისა, საიდანაც

თავისი ქვეყნისთვის კეთილი აზროვნება გამოადნეს!

ის, რომ გადასახლებაში ქართულმა საძმომ ლევან გოთუას, სასათბურე პირობები შეუქმნა, ამაზე ბევრი დაიწერა და ამ თემაზე დიდხანს არ შეგაწყენთ თავს, მაგრამ ძალზე საინტერესოა, თუ როგორ გამოჰქონდათ ზონიდან და როგორ აგზავნიდნენ საქართველოში. მის სამეგობროს, მის მაგივრად თვენახევარში ერთხელ, „შახტაში“ ორ სმენად უწევდათ მუშაობა. გოთუა ჩაკეტილია მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორის ქვეშ მოწყობილ „თავშესაფარში“ და მუშაობს, ზედამხედველები იქ ვერ ჩადიან, ეშინიათ მაღალი ძაბვისა... ქაღალდის მაგივრობას სწევდა ყველაფერი, რაზეც შეიძლებოდა დაწერილიყო: ქაღალდის ნაგლეჯი, გაზეთის არშია, არყის ხის ქერქი და სხვა მრავალი, რომელიც ერთად იყრიდა თავს, თანდათან ლაგდებოდა, რაღაცა ფორმა ეძლეოდა და იგზავნებოდა. სიმართლე რომ ვთქვათ, მე არ შევსწრებივარ ამ თემაზე საუბარს, მხოლოდ წამიკითხავს. მათგან მოსმენილი ერთი საინტერესო ფაქტის ისტორიას შემოგთავაზებთ, თუ როგორ გამოიგზავნა ერთი ხელნაწერი საქართველოში.

ზონის უფროსი ორ მარკშეიდერს აძლევს დავალებას, აზომონ ბანაკი, სადაც კატორღელები ცხოვრობენ და ზუსტი გეგმა ორ დღეში მაგიდაზე დაუდონ. ორ მარკშეიდერს შორის ერთი ბალტიისპირელია, ერთი – მოსკოველი, ხოლო მესამე, დამხმარე მუშა, ჩვენთვის ცნობილი ქურდი-ავტორიტეტია, რომელთანაც როსტოვში ლევან გოთუას ჰქონდა კამათი და დამეგობრდნენ.

ერთი დღე დილიდან საღამომდე იმუშავეს ბანაკში, მთელი დღე თვალებში ეჩხირებოდნენ ზედამხედველებს, სადაც აკრძალული იყო, იქ მოითხოვეს შესვლა. ერთხანს არ გაატარეს, ბოლოს საჩივრით მიდიან ზონის უფროსთან და... განკარგულება გაიცა – გაატარონ ერთ ადგილზე, მეორეზე... მესამეზეც... ზონის უფროსი გაცოფებულია:

– შეუშვით ყველგან! – გასცემს განკარგულებას – ამათაც ეს უნდათ...

საღამოს კანონიერი ქურდი მიდის ლევან გოთუასთან, თან მიაქვს ფანქრები და უამრავი ქაღალდი, რომელიც გეგმის შესადგენად გამოუყვეს. ამ ქაღალდს ოქროს ფასი აქვს, ისიც იცის, რომ ლევანს ხელნაწერი აქვს გასაგზავნი და ვერ აგზავნის. გამოართმევს ხელნაწერს და მისამართს. ლევან გოთუაც ენდობა და ისე აძლევს, რომ არაფერი იცის, ვინ უნდა გაიტანოს ხელნაწერი ზონიდან და, რაც მთავარია, როგორ!

მეორე დღეს გვიანობამდე იმუშავეს ბანაკის ტერიტორიაზე და გასასვლელ კარებს მიღმა მოინდომეს ნიველირის დადგმა.

– „Открывай начальник!“ – შესძახებს ერთ-ერთი და ისიც გაუღებს კარებს. ზედამხედველი გაურბის ზონის უფროსის რისხვას, ეს ფსიქოლოგიური მომენტი ხომ წინასწარ შექმნეს „საქმიანმა“ პატიმრებმა.

კიდევ ცოტა ხანს იტრიალეს, იქაურობა აზომეს და ისევ შიგნით შევიდნენ, ნიველირი ხან შიგნით დადგეს, ხან გარეთ, ასე მოადუნეს ზედამხედველების ყურადღება და, უცებ, სიბნელეში გაუჩინარდნენ. ზედამხედველმა ისიც არ იცოდა, მარკშეიდერები შიგნით იმყოფებოდნენ ბანაკში თუ გარეთ. როცა აღმოაჩინეს მათი არყოფნა, უკვე გვიანი იყო. ატყდა ერთი ამბავი, სასწრაფოდ ყველგან დააგზავნეს მდევარი, მაგრამ ვერსად იპოვეს, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო...

ამასობაში ისინი სამშვიდობოს იყვნენ გასულები. ოთხი დღის შემდეგ ქურდი გამოეყო პოლიტპატიმრებს.

– მე ახლა ცალკე წავალ, ერთად ყოფნა უკვე აღარაა საჭირო, ვიცი, მე ქურდობას ვერ მოვიშლი და ისევ აქ აღმოვჩნდები, თქვენ კი, თქვენს გზაზე უნდა იაროთ. არავისთვის არაფერი მითხოვია ცხოვრებაში, ახლა კი მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვოთ: – აი ეს ხელნაწერი და ორი მისამართი, – ერთი მოსკოვისაა, მეორე – თბილისის, ესეც ფული. გთხოვთ, ყველაფერი იღონოთ, რომ ესენი აუცილებლად მივიდეს აღნიშნულ მისამართებზე. ამის შემდეგ იგი ჩრდილოეთისკენ გაეშურა. სამი დღე და... მატარებელში ჩემოდნის ქურდობისთვის დააკავებენ, სანამ მასთან დაკითხვას აწარმოებენ, კიდევ ორი დღე გაივლის და ამ დროს გაქცეულების ბანაკიდან წარმომადგენელი ჩამოდის.

– „Это же наш!“ –აღმოხდება ოფიცერს.

– მე, როგორც „მოსიარულე სადილი,“ ისე წამომიყვანეს პოლიტპატიმრებმა, – ასეთ ჩვენებას აძლევს ქურდი, მაგრამ მე დავასწარი და ორივე დავხოცე. ერთი იქვე დავწვი, ხოლო მეორე კარგად შევბრაწე, რაც გამოსადეგი იყო, საჭმელად ოთხი დღე მეყო, მერე ისიც გამითავდა და ვიქურდე! – დააჯერა კიდეც, რადგან მისი ჩანთა ლეშის სუნით ყარდა. თოთხმეტ რიცხვამდე ამ ჩვენებაზე იდგა, გზა-კვალი აურია. როგორც შეთანხმებულები იყვნენ – 14 რიცხვამდე, ვინც არ უნდა ჩავარდნილიყო, უნდა გაეძლოთ. ბოლოს, დიდი წამების შემდეგ, ყველაფერი აღიარა, გარდა ლევან გოთუას ხელნაწერისა. პოლიტპატიმრები ამ დროს უკვე მოსკოვში იყვნენ, ხელნაწერები კი – საიმედო ადგილზე აღმოჩნდა. მოსკოველმა ცდუნებას ვერ გაუძლო და იქვე დარჩა, თუმცა ბალტიისპირელი სთავაზობდა, ერთად წასულიყვნენ, მაგრამ არ გაჰყვა; სულ მალე დაიჭირეს და ზონაში დააბრუნეს. მეორემ თავს უშველა და საზღვარგარეთ გავიდა. ორივე ანგარიში ჩააბარა ლევან გოთუას:

– შენი ხელნაწერები სამშვიდობოსაა, მე კი, შენს გვერდით ვარ. შენ ზონაში იჯდე და მე გარეთ ვიყო, უსამართლობა იქნება. ქურდმა ლევან გოთუას სამართლიანობაზე გაუბა საუბარი – ციხე ჩემი სახლია. აბა, სად უნდა წავიდე, სანამ შენ აქ ხარ, მეც შენს გვერდით ვიქნები ყოველთვის... ხელნაწერებმა დანიშნულების ადგილს მიაღწია.

გოთუა ქურდთან უფრო პოულობს საერთო ენას, ვიდრე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან.

ისინი, ვინც კაბინეტებში ისხდნენ, კარიერას იკეთებდნენ და დასცინოდნენ მეცნიერებათა აკადემიაში მოხსენების წასაკითხად მისულ ლევან გოთუას, ამაზე რომ არ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, წარმოუდგენლად მიმაჩნია.

გადასახლებიდან დაბრუნებული ლევან გოთუა, შიომღვიმის მონასტერში საქართველოს წარსულს იკვლევს, რაიმე ხელმოსაკიდს რომ მიაგნოს თავის ისტორიულ მოთხრობებში გამოსაყენებლად. ერთ-ერთ მიუდგომელ გამოქვაბულს დაადგა თვალი. ვინ იცის, მერამდენე საუკუნეა იქ ფეხი რომ არ დაუდგამს ადამიანს; ქვაბულში მოხვედრა არც თუ ისე იოლი საქმეა. ყველა ურჩევს, ხელი აიღოს ამ განზრახვაზე. თითქოს, დაითანხმეს კიდეც. იმ საღამოს, სრულიად შემთხვევით, გოგი ლომთათიძეს შეხვდა, რომელსაც თავისი მოსაზრება გააცნო და ისიც აღტაცებულია მისი გადაწყვეტილებით...

დაუღალავი კვლევის შედეგად აღმოჩენილი იქნა უმნიშვნელოვანესი წარწერიანი ქვა, რომლის მიხედვითაც დაზუსტდა ქართველ მეფეთა მეფობის თარიღები. მეცნიერებათა აკადემიაში ჩოჩქოლია... შეთანხმდნენ, რომ გოთუა მოხსენებას წარადგენს მათ წინაშე; თარიღზეც მოილაპარაკეს...

დანიშნულ დღეს, დილის ათ საათზე, ლევან გოთუა, მოხსენების წასაკითხად, მიდის მეცნიერებათა აკადემიაში, თუმცა იქ უკვე „საქმიანი სხდომა“ მიმდინარეობს და იმ თემაზე მოხსენებას, რომელიც მას უნდა გაეკეთებინა, სხვა კითხულობს.

ლევან გოთუა გადასახლებაში

იგი მაშინვე გამოტრიალდა და იქაურობას გასცილდა, – დამცინავი ღიმილით გააცილებენ მას, ის ხომ ყოფილი კატორღელია, „სამშობლოს მოღალატე, მტერი“. გასასვლელში კოტე ჯავრიშვილი და გოგი ლომთათიძე შეეფეთნენ, – გააჩერეს. გავერკვეთო. დარბაზიდან გამოსული კოტე სრულიად მშვიდად ეტყვის:

– ეს შენი კეთილშობილების გამოა, ბოროტს რომ აბოროტებს და ამით წარმოაჩენს მის არაკაცობას, თორემ, აბა, პირიქით იყოს? შენ შენი ქვა უკვე დადე ქვეყნის აღმშენებლობისათვის, ეს ქვა ორნამენტებითაა შენგან მოჩუქურთმებული და უკვე ქვაკუთხედად დევს ქართული კულტურის საკურთხეველზე; ეს წარწერაც, შენ რომ არ აღმოგეჩინა, ვიღაცა ოდესღაც ხომ ნახავდა... ჩვენ სამეცნიერო შრომები უნდა დავუდოთ წინ ამ ხალხს. დაე, ნერონ, წერონ... იქნებ ეშველოს ქვეყანას, იქნებ რამე შევიდეს მაგათ ტვინში...

და, მართლაც, აზრი „ქართული ენციკლოპედიის შესახებ“, დიდი ხანია უტრიალებს თავში კოტე ჯავრიშვილს. იქ, გადასახლებაში, დაიწყო ამაზე ფიქრი, – ჯერ ლევან გოთუას უმხელს ამ აზრს, მერე გოგი ლომთათიძეს, გურამ დონდუას, ვახტანგ ბერიძეს.

მაგრამ კატორღელის დამღა მუშაობს, ისინი მეორეხარისხოვან ადამიანებად ითვლებიან. მანამდე ლევან გოთუას აკრძალული ჰქონდა თბილისში ცხოვრება, მას ეს-ესაა დართეს ნება, ოღონდ, მისი შრომა მოღვაწეობად არ აღიქმება, როგორ შეიძლება „ხალხის მტრებმა“ იღვაწონ, რამე შექმნან... ეს დაუშვებელია... და, როგორღაც, სრულიად შემთხვევით, კოტე ხვდება საქართველოს კომპარტიის მესამე მდივანს გეგეშიძეს. კოტე მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი ჯერ კიდევ არაა, ჟურნალ „დროშაში“ მუშაობს...

ვალის ქვანახშირის „შახტი“ დახურეს; მოსკოვიდან ვიღაცამ ჩათვალა, რომ ნახშირი ძალიან მდარეა, ეს მართლაც ასეა, მაგრამ ამდენი მუშა გარეთ რჩება. იმხანად რაიკომის მდივანი ლევან ისაკაძეა, იგი ჩამოდის თბილისში და გეგეშიძესთან ერთად იწყებენ ფიქრს, თუ როგორ გადაარჩინონ იგი დახურვას. გეგეშიძე, ვიღაცის რჩევით, როგორც გეოლოგს, იბარებს კოტე ჯავრიშვილს. მათ შორის, შეხვედრისთანავე მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. კოტე მასში ხედავს პატრიოტ და გულანთებულ ადამიანს და თავის ჩანაფიქრს – „ქართული ენციკლოპედიის“ შესახებ, უმხელს. გეგეშიძე აღაფრთოვანა ამ ამბავმა, მაგრამ კოტე კატორღელია... რაღაცა მოიფიქრეო, უბარებს კოტეს და ასე შორდებიან. შეხვედრა ორი დღის შემდეგ დაგეგმეს, კვირადღეს. გეგეშიძე განცვიფრებული რჩება ჯავრიშვილის ენციკლოპედიური განათლებით.

– თქვენი გამოჩენა არ ივარგებს, საქმეს წავახდენთ! – პირდაპირ ეუბნება გეგეშიძე კოტეს.

– აი, ირაკლი აბაშიძეს წავიმძღვარებთ წინ, მგონი, ურიგო არ იქნება! – სთავაზობს კოტე. – ძალიან კარგი აზრია, საქმეს შეუდექით! – ასკვნის გეგეშიძე, – ის, რაც მე მევალება, მალე გავაკეთებ...

კოტე „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ერთ-ერთი განყოფილების გამგეა, ერთის – გ. დუნდუა. კოტეს გარდაცვალების შემდეგ მის საქმეს მისი შვილი, ისიც „მოსიარულე ენციკლოპედია“ – ვასიკო (ვასილ) ჯავრიშვილი გააგრძელებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც 51 წლის ასაკში, ამ ქვეყნიდან მიდის. აქ წყდება ჯავრიშვილების მოდგმა, კოტეს ნაშიერი არ დარჩენია, დარჩა მხოლოდ მისი დაუმთავრებელი საქმეები...

და, მაინც... ყოვლად წარმოუდგენელია, კიდევ რა უნდა მოიმოქმედონ ამ დიდებულმა ადამიანებმა, რომ სრულფასოვანი ადამიანების სიაში ჩაწერონ, ან ჩვეულებრივი ადამიანებივით იცხოვრონ? ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე წნეხს გრძნობენ. კოტეს იტალიაში აგზავნიან მივლინებით; წასვლის წინ მას საქართველოს უშიშროების უფროსი ალექსი ინაური იბარებს თავის კაბინეტში. იგი არც მისალმებია, ისე მიუთითა, დამჯდარიყო. თვითონ ბოლთას სცემს. წამით სიჩუმემ დაისადგურა. მერე ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და ეუბნება (ინაური რუსულად ესაუბრება, კოტე ქართულად პასუხობს, რითაც იგი წყობილებიდან გამოჰყავს):

– მე არ ვიცი, აი, ის კაცი ვინ არის, რომელიც გზის გადასასვლელზე გადადის, მაგრამ, თუ დამჭირდა, ხუთ წუთში მეცოდინება მისი ვინაობა და, ისიც, თუ რას ფიქრობს ამჟამად, მაგრამ შენ (შენობით მიმართავს) და შენისთანებს, როგორც შუშას ისე გხედავთ და ისიც ვიცი, რას ფიქრობთ!...

– არადა, რომ სცოდნოდა, იმ წუთებში რას ვფიქრობდი მასზე – იტყვის კოტე, – როგორ ჰგავს ვარკუტაში ზონის უფროსის საუბარს, როგორი ერთნაირი იდიოტები არიან და ერთნაირი გამოხედვა აქვთ, – ყველას მედიდური. არადა, როგორი გაუნათლებლები არიან!

იქ, ზონაში, ესოდენ მკაცრი და მიუკარებელი ზონის უფროსი, გაშინაურებას ცდილობს კოტესთან; რამდენჯერ სცადა ახლობლური საუბარი, მაგრამ რაზე უნდა ესაუბრო ადამიანს, რომელსაც თითქმის იგივე ინტერესი აქვს, როგორიც ცხოველს, ცხოველური ინსტიქტებით შემოიფარგლება მისი აზროვნება, მხოლოდ ქალებთან გატარებული საღამოების აღწერით შემოიფარგლება მისი საუბარი. ამაზრზენი და ისეთი შტერია, რომ, ერთხელ, კოტე შეეკითხა – შვიდჯერ რვა რამდენია, ხომ ვერ მეტყვიო და, თითებზე თვლა დაიწყო თურმე. მაინც ვერ უპასუხა სწორად. ბოლოს შესთავაზა, – ჩემი შვილები ამეცადინეო. კოტემ შორს დაიჭირა თავი. ზონის უფროსი ფარულ მუქარაზე გადადის. კოტე დელიკატურად იქცევა:

– რომ გაიგონ, რომ შენ შვილს მე ვამეცადინებ, წარმოგიდგენია, რას გიზამენ? მე ხომ პოლიტპატიმარი ვარ და, რა იცი, შენს შვილს, იქნებ, ისეთი რამ ვასწავლო, რომ... მე ხომ არაფერი მაქვს დასაკარგავი?

ზონის უფროსს შიშისაგან ქოშინი აუტყდა თურმე, კინაღამ გული წაუვიდა. მერე კი, როცა დამშვიდდა, პირდაპირ უთხრა:

– შენს თვალებზეც ვნახავ როდისმე ცრემლს! – უკვე აშკარა მუქარაზე გადადის ჩეკისტი.

მიზანში ამოიღო კოტე ჯავრიშვილი და სულ ცდილობს, რაღაცით დააშინოს, ემუქრება კიდეც, მაგრამ კოტე შეუვალია.

ორმოცდაცამეტში სტალინი გარდაიცვალა...

– უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა ბანაკში, – გვიამბობდა ძია კოტე, – ეს საცოდავი ხალხი, ვისი ოჯახებიც აწიოკებული იყო, თვითონ ნაცემ-ნაგვები, ნაწამები, ვინც თითქმის ყოველდღე თავისი ხელით ასაფლავებდა გვერდში მდგომ ჩამომხრჩვალ მეგობარს თუ ამხანაგს, ახლა ბარაკებიდან გამოცვივდნენ და მუხლებზე დამხობილნი გოდებდნენ, ზონის უფროსი, როგორც რიგითი კატორღელი, ისიც კატორღელების გვერდში მუხლმოყრილი მოსთქვამს... მაგრამ, თვალი და ყური პატიმრებს დასტრიალებს, უნდა იცოდეს, ვინ როგორ ირჯება. უცებ წამოვარდა ფეხზე და ბარაკში შევარდა, სადაც კოტე მშვიდად ბალზაკის თარგმანითაა დაკავებული. მის აღშფოთებას საზღვარი არ აქვს; მან წიგნს დაავლო ხელი და მოისროლა, ახლა ქაღალდებს ეცა, კოტემ თავისი ღონიერი ხელი მაჯაში წაავლო და მთელი ძალით მოუჭირა. თვალები ლამის გადმოსცვივდეს უპეებიდან

– ეს რა კაცი ხარ ასეთი, რომ ასე მშვიდად შეგიძლია გადახარშო ესოდენ მწარე ამბავი, ბელადის გარდაცვალებისა?!

– მე ბელადებს არ ვგლოვობ, ბელადებს შენისთანები გლოვობენ და ტირი კიდეც, მაგრამ მე არ დავუშვებ იმას, რომ შენ ჩემ თვალებზე ცრემლი ნახო. მაგ სიამოვნებას არ მოგანიჭებ. მე ხომ თქვენთვის და თქვენისთანებისთვის არ ვარსებობ, უბრალო საგანი ვარ, – ხე, ქვა! არც იმ ბელადისთვის ვარსებობდი... ჰოდა, იტირეთ ერთმანეთი, რამდენიც გინდათ!!!...

ამასობაში რამდენიმე ქურდი გარშემო შემოეწყვნენ; ბანაკის უფროსი დაფრთხა და გაშორდა კოტეს. ნახევარი საათის შემდეგ კოტეს განსაკუთრებით მძიმე საკანში – კარცერში ამწყვდევენ. საშინლად ცივა, მაგრამ, მისთვის, როგორც წამალი, ისეა ეს სიცივე, იგი ლუმელივითაა გახურებული. როცა დაწყნარდა, არავინ იცის, რა აზრი მოუვიდა თავში ზონის უფროსს, ან რა ბრძანება მიიღო – ერთ საათში გამოუშვეს...

ორმოცდათოთხმეტში, კოტეს ზონის გარეთ, თავისუფალ დასახლებაში საცხოვრებლად შეუძლია გადასვლა, ახლა უკვე ნებადართულია ცოლ-შვილის ჩამოსვლა და რამდენიმე დღითაც დარჩენა, საამისოდ ბარაკის ტიპის საცხოვრებელიც აქვთ და კოტეს შეუძლია თავისთან მიიწვიოს ოჯახის წევრები. წინასწარ კი განცხადება უნდა შეიტანოს, ახლა უკვე თავისუფალი დასახლების დაბის უფროსთან.

ზაფხულში თინა ავალიანი თავის შვილთან – ვასიკოსთან ერთად, რომელიც ლევან გოთუას ნათლულია – მიემგზავრება მის შესახვედრად.

ცოლ-შვილთან შეხვედრა კოტეს წყობილებიდან გამოიყვანდა, დიდი ალბათობით, იგი შეიძლებოდა გრძნობებს აჰყოლოდა, თუმცა არ დაუშვებდა, რომ ზედამხედველებს მისი ცრემლი დაენახათ, კოტე ხომ სიმშვიდის განსახიერება იყო, რითაც აცოფებდა მათ, ამიტომ იგი ჯდება მატარებელში და ერთი სადგურით ადრე ჩამოდის მათ შესახვედრად. მატარებელი ერთი სადგურიდან მეორემდე მისვლას 16 წუთს ანდომებს, ეს ლოდივით მძიმე და აუტანელი თექვსმეტი წუთი იქნება მის ცხოვრებაში. სადგურზე მატარებელი მხოლოდ სამ წუთს ჩერდება. შესვლისთანავე თინას გადაეყარა, რომელიც უმალვე კისერზე ჩამოეკიდა, რომ არ ნაქცეულიყო... კოტემ თავის შვილს, როგორც პატარა ბავშვს, ისე დაუწყო ძებნა და ვერც კი წარმოედგინა, რომ ის პატარა ბავშვი აღარ იყო, რომელიც რვა წლის წინ დატოვა. იგი თითქმის მისი სიმაღლისაა, უკვე 14 წლის. ულვაშიც შეჰპარვია.

– ჩვენ ხრუშჩოვის შვილობილები ვართ! –იტყოდა ძია კოტე.

ორმოცდათვრამეტში გაათავისუფლეს. ლევან გოთუას მაინც არ აქვს თბილისში ცხოვრების უფლება, თუმცა მაინც მოახერხა, მცხეთაში ცხოვრების ნება რომ დართონ.

კოტეს გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, უნო უსოსი შემოდგომით ეწვია თბილისს. მე და ვასიკო ჯავრიშვილი დავხვდით აეროპორტში. – სასაფლაოზე წამიყვანეთო, – კი არ გვთხოვა, თითქოს გვიბრძანა კიდეც. ტაქსი ყვავილების ჯიხურთან გავაჩერეთ.

– მე, კოტეს, ნაყიდ ყვავილებს ვერ ვკადრებ, სადმე მინდვრის ყვავილები მოვკრიფოთო, – გვითხრა.

იქვე, ფერდობზე, უჭკნობი ყვავილები შენიშნა. თვითონვე დაკრიფა და კოტეს საფლავთან ასე მივედით.

– აჰა, შენი საფლავის ნახვის ღირსიც გავხდი, ჩემო მეგობარო და მასწავლებელო! – თავანკარა ქართულით ჩასძახა საფლავში და მუხლი მოიყარა. ჯიბიდან გაკეცილი, საკმაოდ სქელი თაბახის ფურცლები ამოიღო და საფლავის ქვაზე დადო; მერე, იქვე, გვერდით ჩამოჯდა და ჩემთვის გაუგებარ ენაზე დაიწყო კითხვა... – ეს „ვეფხისტყაოსნიდან“ იყო მის მშობლიურ ენაზე მისგანვე თარგმნილი.

– ვერ მოვასწარი მისი სრული თარგმნა და, ალბათ, ვერც დავამთავრებ. აბა, უშენოდ როგორ შევძლებ ამას?! შეუძლებელი იყო უცრემლოდ მისი მოსმენა და ნახვა; მოგვიანებით მან ოტია იოსელიანი თარგმნა...

ვერც ლევან გოთუა შესძლებს გენიალური „მითრიდატეს“ დასრულებას, მან მხოლოდ პირველი ტომის გამოცემა მოასწრო...

მურმან თავდიშვილი

ბახმარო

(ეტიმოლოგიური ეტიუდი)

ბახმარო პოპულარული კურორტია. სიტყვის წარმოშობა თავიდანვე ინვევდა დიდ ინტერესს. ამიტომაც არაერთმა სცადა საკითხის გარკვევა. რა თქმა უნდა, როგორც წესი, ყველაზე უწინ საქმეში ჩაერია ე.წ. ხალხური ეტიმოლოგია. როგორც ვიცით, ხალხურ ეტიმოლოგიას არავითარი სამეცნიერო ღირებულება არ გააჩნია, რადგან რეალური საფუძველი გამოცლილი აქვს და ფანტაზიაზეა აგებული. მაინც მოვიყვანოთ ვარძიის (აქ ვარ ძია) მსგავსი ეტიმოლოგიური ახსნა: ,,ამ სიტყვის პირველ ნაწილს ხალხური ეტიმოლოგია თურქულ სიტყვას ,,ბახ" (ნახე) უკავშირებს, ხოლო მეორეს – ქალის სახელს (მარო). ხალხის ეს აზრი ემყარება გურიაში გავრცელებულ ლეგენდას გურული ქალის მაროს მოტაცების შესახებ ... თურქ გამტაცებლებს მდევარი წამოსწევიათ სწორედ იმ ადგილებში, რომელიც ბახმაროდ იწოდება. მათ გაქცევის იმედი დაუკარგავთ, მაგრამ არც გატაცებულის დათმობა მოუსურვებიათ. ამიტომ მოუკლავთ მარო და მკერდზე მისივე სისხლით დაუწერიათ ,,ბახ-მარო" (ნახეთ მარო!)", – ასე ბრძანებს ილია ცინცაძე *(იხ. მისი ,,ბახმარო", გვ. 6).*

აქვე შევნიშნავთ: გარდა იმისა, რომ ე.წ. ხალხური ეტიმოლოგიები არასანდოა, აქ სხვა წინააღმდეგობაც იხილვის. სოფ. ბახვი, მდინარე ბახვისწყალი და თვით ბახმაროც უძველესი ტოპონიმებია, მანამდელი, ვიდრე საქართველოს მეზობლად თურქები დაიდებდნენ ბინას. თურქთა ჩამოსახლება მათს დღევანდელ ადგილას XVI-XVII საუკუნეებს მიეწერება, ხოლო ცნობილი ისტორიული სოფლები ბახვი, ასკანა და ბახვ სიტყვისაგან წარმოქმნილი სხვა სახელები (ბახვისწყალი, ბახმარო), სულ ცოტა, VI საუკუნიდან მაინც არსებობენ.

გარდა ამისა, თუ სახელწოდებაში გამოიყოფა ,,ბახ" (ნახე), მაშინ როგორღა ავხსნათ **ბახმაროს** პარადიგმული ფორმები: **ბახვისწყალი** და **ბახვი?**

ეჭვი არაა, რომ ყველა ამ სახელწოდებას საფუძვლად უდევს **ბახვი,** ხოლო, თუ უფრო შორს ნავალთ, - **ბახუსი.**

კიდევ ერთი შენიშვნა:

რაკიღა გურია-აჭარის მეზობლად თურქები აღმოცენდნენ, ბევრი გურული ადგილის სახელი, რომელთა მეცნიერული ახსნაც ვერ მოხერხდა, ხშირად უკავშირდებოდა თურქულ ენას. სწორედ ერთი ასეთია სახელწოდება გურიის დედაქალაქისა. დიდხანს ეგონათ და ზოგს ახლაც სწამს, რომ **ოზურგეთი** შედგება ორი თურქული სიტყვისაგან **ოზურ** (დასვარა) და **გეთ** (გაიქცა). სწორედ ამიტომაც თუ იყო, რომ არაერთი საგაზეთო წერილი დაიბეჭდა ამ სათაურით – ,,ოზურგეთს სახელი უნდა შეეცვალოს!" ბევრმა მეცნიერმა სცადა სახელდების ახსნა, მაგრამ ყველას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. საკითხი სულ ახლახანს გადაწყდა: თურმე, **ოზურგეთი** მომდინარეობს სამცხელების დედაქალაქის სახელწოდებიდან **ოძრხე.**

მაშ, **ოზურგეთი** მეორადი ტოპონიმია და ჩამოყალიბდა ასე: **ოძრხე → ოძურხე → ოდზურხე → ოზურხე → ოზურხეთი → ოზურგეთი.**

სამცხიდან გადმოსულ და სამეგრელოს გულში (გური) დამკვიდრებულ ადამიანებს თან გადმოუტანიათ ფონეტიკურად სახეშეცვლილი იგივე ტოპონიმი *(იხ. მ. თავდიშვილი, კრიტიკული წერილები, 2011, გვ. 20).*

იგივე შეიძლება ითქვას **ბახმაროს** ხალხურ ეტიმოლოგიაზე. აქაც არაფერია თურქული და ისიც ქართულ ნიადაგზე უნდა აიხსნას.

პროფ. იური სიხარულიძემ პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტა სცადა: ,,ბახ" დაუკავშირა სვანურ ,,ბაფ" ცნებას (ნაბიჯი, გადასასვლელიო). სვანეთში ასე გადასასვლელებს აღნიშნავენ და ბახმაროც გადასასვლელიაო.

მეცნიერებამ ვერც ეს მოსაზრება შეიწყნარა, ვინაიდან, ასე თუ ისე, მაინც ყველა გრძნობდა, რომ ბახმაროს I სეგმენტი ვერაფრით ჩამოშორდება ცნობილ გურულ ტოპონიმებს, რომლებიც სწორედ რომ ერთ ხაზზეა, ერთ მარშრუტზეა **განლაგებული: ბახვი, ბახვისწყალი, ბახმარო...**

ჩემმა ძველმა მეგობარმა, ცნობილმა პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ განაცხადა: ,,ბახვისწყალს ეს სახელი ეწოდება ბახუსის გამო (ი. მეგრელიძე, ,,კომუნიზმის განთიადი", 18 აგვისტო, 1973)... ბახუსის სიტყვის ფორმები გავრცელებული ჩანს ტრაპიზონიდან არარატის მთამდე". აქამდე ყველაფერი სწორია, ოღონდ მერე ავტორი ჩვენთვის მიუღებელ მოსაზრებას ავითარებს: ,,ბახუა ქართული (კოლხური) წარმოშობისაა. ეს ბახუა, ბახვა არის საფუძველი სოფელ ბახვის სახელისა".

აქ ავტორს ავიწყდება ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. სოფ. **ბახვს** იქვე თან ახლავს მეორე სოფელი, არაქართული სახელწოდების მქონე და მას ეწოდება **ასკანია, ასკანა.** არადა, ცნობილია: **ბახუსი,** გახლავთ ღვინისა და მეღვინეობა-ვენახის მფარველი უფროსი ღვთაება, ხოლო ასევე ღვინომეღვინეობის უმცროსი მფარველია მისი შვილიშვილი, ენეასის ძე ასკანია.

მაშასადამე, ღვინო-ვენახით განთქმულ გურულ სოფლებს შემთხვევით როდი შეარქვეს **ბახუსი** და **ასკანია.** სხვათა შორის, შავი ზღვის მეორე ნაპირზეც (უკრაინაში) დაუარსებიათ ასკანია, რომელსაც 1829 წლის მერე ეწოდება **ასკანია-ნოვა.**

ამრიგად, როცა ვლაპარაკობთ ტოპონიმებზე ბახვი, ბახვისწყალი, ბახმარო, მუდამ უნდა გვახსოვდეს იქვე მდგომი **ასკანია – ასკანაც.**

1953 წელს საკითხი ფაქტობრივად გადაწყვიტა პროფესორმა დავით კობიძემ. მისი აზრით, ,,ბახმარო" ბახვისწყალთან, სოფ. ბახვთან არის დაკავშირებული. მკვლევარმა მართებულად შენიშნა, რომ ეგ სამი სახელწოდება ტატილებივითაა ასხმული ერთ ძაფზე. ეს ძაფი მდინარეა, რომელიც სამივე სახელწოდებას აერთიანებს.

პროფესორის აზრით, სიტყვის პირველი ნაწილი სოფ. **ბახვს** უკავშირდება, მეორე – სიტყვას ,,მერე"!

მართებულია მკვლევრის აზრი მეორე სეგმენტის შესახებაც: ,,მარო" არის სახეშეცვლილი ,,მერე", ხოლო **მერე** ცნობილი გურული ცნებაა და ნიშნავსო ,,მდინარისპირა ვაკე ადგილს" (დ. კობიძე, გაზ. ,,სტალინელი", 1953, N95).

,,ბახმაროს" ავტორი ილია ცინცაძე ბოლოს დასძენს: ბახმაროს ეტიმოლოგია საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის და ეგ საქმე მომავალს მივანდოთ (გვ. 8). არადა, სინამდვილეში აქ უნათლო და ბურუსიანი არაფერია – არსებითად დ. კობიძემ საკითხი გადაჭრა.

მაინც ვთქვათ ორიოდე სიტყვა სახელწოდების შესახებ.

გურულები სამეგრელოს ტერიტორიაზე მოსულები არიან. ისინი გადმოვიდნენ სამცხიდან. დადიანმა მათ მიუზომა მიწები სამეგრელოს ცენტრში, გურში. ასე გაჩნდა **გურია.** ამიტომაც როდია გასაკვირი, რომ გურიის ტოპონიმთა დიდი ნაწილი იხსნება მხოლოდ მეგრული ენის ბაზაზე. ბევრი ტოპონიმიც მესხეთიდან (სამცხიდან) გადმოტანილია და ამიტომ მეორეულია. ცნობილია, რომ სამცხეში მდინარისპირა ვაკე ადგილს, ჩვეულებრივ, ეწოდებოდა **მერე.** ერთ-ერთი **მერე** ნახსენებია 951 წელს შეთხზულ ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში". სწორედ **მერეს** დედათა მონასტერს განაგებდა დედა ფებრონია, სამცხელი მონაზონი ქალი. გურიაში გადმოსულ გურულებს ერთობ ფართოდ გამოუყენებიათ ეს ტერმინი, რადგან ამ ადგილებში ძალიან ბევრია მდინარისპირა ვაკე ადგილი. მაგალითად, ძიმითში სუფსისპირა ადგილებს **მერიებს** (მერეებს) ეძახიან; აქვეა მიკროტოპონიმი **დიდმერე**; ოზურგეთთან ახლოს არის სოფელი მერია. ეჭვი არაა, დასახელება მივიღეთ ასე: **მერე – ა → მერია.** აქ, საბჭოთა კავშირის დროს, სამხედრო აეროდრომი მდებარეობდა, რაკიღა მერია ფართოდ გაშლილი ვაკე ადგილია; სიტყვა მერე შეყუჟულ-შეფარებულია გურული სოფლის სახელში **მელექედური.** კომპოზიტი დისიმილაციის გზით არის მიღებული: **მერე + ქედური → მელე + ქედური,** ანუ ქედზე მოთავსებული ვაკე ადგილი.

გურიაში, შესაძლოა, დაიძებნოს ათობით მსგავსი მიკროტოპონიმი.

სწორედ ერთ-ერთი ასეთია **ბახმარო,** რომლის მეორე სეგმენტი არის ჩვენთვის კარგად ნაცნობი **მერე.**

მართალი ბრძანდებოდა დ. კობიძე: ბახმაროში ჩამდინარ მდინარე ბახვისწყალს (იმავე მდ. ბახვს) აქ, ამ ადგილას, ორივე მხარეს მიუყვება ვაკე ადგილები. მაშასადამე, მდინარე ბახვი აქ ვრცელ ვაკეს ორად კვეთს. სწორედ ამიტომაც ეწოდა ამ ადგილს ბახვის + მერე. რთულმა სიტყვამ ასეთი მეტამორფოზა განიცადა:

ბახვ – მერე → ბახვმარო → ბახმარო.

უნდა გვესმოდეს, რომ ბახმარო ფორმაში ,,ვ" ბგერა დაკარგულია, რადგან ის, ჩვეულებრივ, იოლად იკარგვის.

მაშ, ასე: ერთის მხრივ, გვაქვს **ბახვის მდინარე** (ბახვისწყალი), მეორე მხრივ – **ბახვის მერე** (ბახმარო). წარმოება ერთნაირია! (იხ. მ.თავდიშვილი, ღვინო, ვენახი, ვაზი, 2015, გვ. 44).

ბახვმერე ისევეა ნაწარმოები, როგორც ბევრი ამ ტიპის კომპოზიტი. მისი მეორე კომპონენტი **მერე** ხშირად გვხვდება გურულ ტოპონიმიაში.

ჩვენი სახელოვანი წინაპრები

შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო...

30 ივნისს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს ქრისტიანობისა და საქართველოსათვის (ეს ორი მცნება განუყოფელია ქართველი ერის ისტორიაში) თავდადებული და წამებული რაინდის, წმინდანად შერაცხული **შალვა თორელი-ახალციხელის** ხსენების დღეს.

მეფეთ **მეფე დიდმა თამარმა** შალვა თორელი ახალციხელი-მამაცი და მხნე მეომარი, ერთგულებისა და ვაჟკაცობისათვის ახალციხის მთავრად დანიშნა.

შალვა თორელმა (ახალციხელმა) ცნობილ შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ ხალიფას დროშა და სხვა უამრავი ნადავლი წაართვა და ხახულის ღვთისმშობელს შესწირა. უანგარო სამსახურისათვის თამარ მეფემ შალვა მანდატურთუხუცესად განამწესა და მხედართა შორის მთავრად დაადგინა. უებარმა ვაჟკაცმა და მამაცმა მხედართუფროსმა არაერთი ბრძოლა მოიგო მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში.

როცა საქართველოში ჯალალ-ედ-დინის ურიცხვი ლაშქარი შემოიჭრა, მეფე **რუსუდანმა** ქართველთა ლაშქარს უსარდლა **ივანე ათაბაგი,** რომელმაც *„განაწყო ჯარი იმერნი და ამერნი, მხედართმთავრად დანიშნა სიმხნევითა და სიმამაცით გამორჩეულნი „თორელნი და ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი, შალვა და ივანე სახელოვანი იგი მებრძოლნი"* - გვამცნობს მატიანე.

სოფელ გარნისთან ექვსი ათასი ქართველი დადგა ორასი ათასი მუსულმანის წინააღმდეგ.

მესხთა გმირული ბრძოლის მიუხედავად, ვერაფერი გააწყვეს სულთნის მრავალრიცხოვან ჯართან *„და იქმნეს ძლიერნი ომი„~.* შალვამ და ივანემ სამჯერ სთხოვეს ივანე ათაბაგს შველა, მაგრამ უგუნური შურიძიების გამო სარდალმა ათაბაგმა მათი თხოვნა ყურად არ იღო.

– ,,არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა, ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და მათ თანა მრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით და არა ინება შველა ივანე ათაბაგმა, რომელთა შურითა იტყვიან ამას ყოფად და არა თუ შიშითა.~ ომში ორივე ძმებს „ახალციხელებს დაუხოცეს ცხენნი, და ქუეითნი მხნედ იბრძოდეს. და მოისრნეს ორგნითვე ურიცხუნი, და უმეტეს თორელნი. და ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, ხმალნიცა ახალციხელთანი განწყდეს ჩაბალახსა ზედა." უწყალოდ დამარცხდნენ ქართველები. ტყვედ შეიპყრეს თამარ მეფის სახელოვანი სარდალი, არა ერთი ომის გმირი შალვა ახალციხელი და დაჭრილი მიჰგვარეს ჯალალ-ედ-დინს, ხოლო ძმა მისი, ასევე ლეგენდარული მხედართმთავარი ივანე „გარნისისა კლდეთა შელტოვილი~ მოიკლა „ზენაკერძო მოტეეებულითა ქვითა~. ამ საშინელ და თავზარდამცემ ომში დაიღუპა დიდძალი ხალხი, რომ არაფერი ვთქვათ ტყვედ ჩავარდნაზე (თურმე ქართველ ტყვეთა სიმრავლე იმდენი ყოფილა, რომ თითო ქართველი 2-3 დინარად იყიდებოდა).

ნახ. რევაზ გვირჯიშვილისა

როდესაც შალვა თორელი (ახალციხელი) მიიყვანეს სულთანთან, მან ეს სახელოვანი რაინდი შეინდო და პატივისცემის ნიშნად *„მიანიჭა ქალაქნი ადარბადაგანისანი~".* ასეთი პატივით, ალბათ, ჯალალ-ედ-დინი ფიქრობდა მის გადაბირებას და საქართველოს დაპყრობაში გამოყენებას.

ქართველი მემატიანის გადმოცემით, ჯალალ-ედ-დინი ერთი წლის განმავლობაში შალვა თორელ- ახალციხელს *„აიძულებდა დატევებასა სჯულისასა და უქადაგებდა ნიჭთა და პატივთა უმეტესთა. ხოლო მან არა უსმინა, არცა აღირჩია წუთ ჟამისა ამის პატივი, არცა უარყო სახელი ქრისტესი. კუალად სულთანი ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფასა ქრისტესსა, არამედ იგი გარემოაქცევდა სიტყუათა მისთა. კუალად სულთანი, ქადოდა მრავალფერითა სატანჯველითა და აშინებდა, არამედ იგი მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა, ხოლო შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მწარითა სიკვდილითა განიყუანა საწუთროსა წმინდა შალვა, და მოწამეობისა გვირგვინითა შემკული აღვიდა წინაშე ქრისტესა („ქართლის ცხოვრება").*

გარნისთან ბრძოლა 1225 წელს მტრის გამარჯვებით დამთავრდა. **ანტონ კათალიკოსი** (XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე) შალვა თორელ-ახალციხელის შესახებ ჟამთააღმწერლის მსგავსად, გადმოგვცემს ამ დიდებული სარდლის გმირული ბრძოლების ისტორიას ქრისტესმოძულე დამპყრობლების წინააღმდეგ შამქორთან, ყარსთან, ბასიანთან.

ჯალალ-ედ-დინი დოდხანს ცდილობდა ზნესრული რაინდის გადაბირებას. და როცა ვერაფერს გახდა, მისი წამებით მოკვდინება ბრძანა, რასაც შალვა თორელ-ახალციხელი სიხარულით შეეგება – *„იხარებოდე, ჰოი, შალვა, დავითმინოთ, შალვა, სიკვდილი ქრისტესთვის, რომელიცა ერთგზის წინაუძს ყოველსა კაცსა~".*

შალვა თორელ-ახალციხელის ღვაწლმა ხალხურ პოეზიაშიც ჰპოვა ასახვა. დღესაც ომახიანად და გულშიჩამწვდომად ჟღერს „შავლეგო", რომელიც განადიდებს შალვა თორელის ვაჟკაცობას და ღვაწლს. აი ეს ლექსიც:

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
სისხლში გაგიხამებია, შავლეგო,
ყაწიმები გიხდებოდა, შავლეგო,
მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო,
შავლეგ შენი შავი ჩოხა, შავლეგო".~

მინაწერი: ძმები შალვა და ივანე თორელები ბორჯომის ხეობის გმირთაგმირი შვილები არიან. მათი დონის სახელოვანი პიროვნებები ამ ხეობის ისტორიას არ ახსოვს. თორელები არა მარტო მტერთან ბრძოლაში იყვნენ სწორუპოვარი რაინდები, არამედ გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეები გახლდნენ. თორელთა სახელს უკავშირდება ტიმოთესუბნის მონასტრის მშენებლობა, რომელიც დღესაც ანცვიფრებს მნახველებს თავისი სიდიადით. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თორი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით, დაწინაურებული მხარე იყო და შალვა და, ივანე თორელების მსგავსად, სხვა არაერთი სახელოვანი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე თორელი გაიზარდა ამ მხარეში, რომელმაც დიდების შარავანდედი შესძინეს ჩვენს ქვეყანას.

დასასრულს მინდა ჩემი დიდი ხნის ოცნებაც გავაჟღერო: ახლა, როცა სერიოზულად დაკნინდა და დაიმცრო ქართველთა სახელოვანი წარსულისადმი პატივისცემა, როცა დავიწყებას ეძლევა გმირ წინაპართა სახელები და ტრადიციები, მინდა ადგილობრივ ხელისუფლებას ვთხოვო, იქნებ ღირდეს სახელოვან წინაპართა – შალვა და ივანე თორელთა ძეგლი აღგვემართა ბორჯომის ცენტრში, რაც ამ გმირი ადამიანების ხსოვნის დაფასება და პატივისცემა იქნება.

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორი,
ბორჯომის საპატიო მოქალაქე

ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატიონთა დინასტიაში

მიხეილ ბახტაძე

გაგრძელება. დასაწყ. იხ. NN 9-10

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამოდინარე, გასკვირი არაა, რომ, როდესაც 923 წელს ქართველთა მეფე და კურაპალატი ადარნასე დავითის ძე გარდაიცვალა, ქართველთა მეფობა უფროსმა ძემ დავითმა მიიღო, კურაპალატობა კი ბიზანტიის იმპერატორმა მეორე ძეს, აშოტს უბოძა. აშოტი „უფროსი ძმისაგან განსხვავებით, ნაკლებად აქტიურია ბიზანტიის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ ამ ღონისძიებით იმპერატორს ძმებს შორის შუღლის ჩამოგდება ჰქონდა განზრახული.“

აშოტ ადარნასეს ძე შეიძლება პრობიზანტიური ორიენტაციის არ იყო, მაგრამ იმპერიისადმი ლოიალური მაინც იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში 937 წელს, ძმის – დავითის გარდაცვალების შემდეგ, ის „ქართველთა მეფის“ ტიტულს თავად არ მიიღებდა, რადგან ეს ბიზანტიის საიმპერატორო კართან ურთიერთობას გაუფუჭებდა (კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ „ქართველთა მეფის“ ტიტულის ბოძებასთან ბიზანტიის იმპერატორებს არანაირი კავშირი არ ჰქონდათ. ამ ტიტულის ბოძება მხოლოდ ბაგრატიონთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული). ამიტომ ქართველთა მეფე გახდა მესამე ძმა ბაგრატი.

945 წელს ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ სუმბატმაც, სავარაუდოდ, ასევე ბიზანტიის საიმპერატორო კარისათვის ანგარიშის გაწევის გამო უარი თქვა „ქართველთა მეფის“ ტიტულზე.

სუმბატის ვაჟმა, ბაგრატ II-ემ კი „გაბედა“ და 958 წელს „ქართველთა მეფე“ გახდა.

ბაგრატ II 994 წელს აღესრულა. „გარდაიცვალა ბაგრატ რეგუენი ქართველთა მეფე, ძე კურთხეულისა სუმბატ კურაპალატისა, ქრონიკონსა ს~ი~დ, და დაუტევა ძე თჳსი უხუცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა-მეფე. და ამას გურგენს ესუა ბაგრატ დედით აფხაზთა მეფისა დის-წული, დემეტრესი და თევდოსესი. ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს, და ამისთჳს გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა“. სუმბატ დავითის ძე არ წერს ვის გადაეცა ქართველთა მეფის ტიტული.

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ 994 წელს „ქართველთა მეფის“ ტიტული დავით III კურაპალატს გადაეცა. არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომ 994 წელს „ქართველთა მეფე“ ბაგრატ II-ის ძე გურგენი გახდა. ზ.პაპასქირის აზრით, 994 წელს „ქართველთა მეფობა“ ბაგრატ III-ემ მიიღო.

სუმბატ დავითის ძე დავით III კურაპალატს არსად მოიხსენიებს ქართველთა მეფის ტიტულით. მემატიანეს მიხედვით, ის ჯერ ერისთავთერისთავია – „გარდაიცვალა [ადარნასე კურაპალატი], ძე ბაგრატ მაგისტროსისა, ქორონიკონსა რ~პ~ა, რომელი-ესე ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკუდა უნებლიეთ ფიჩჯთა, და დაუტევნა ძენი: ბაგრატ და დავით ერისთავთაერისთავი.“ შემდეგ კი უკვე კურაპალატი – „გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კურაპალატისა, ქრონიკონსა ს~კ~ა, და არა ესუა ძე“.

„მატიანე ქართლისაჲში“ დავითი მხოლოდ კურპალატობით მოიხსენიება.

ერთადერთი წყარო რომელშიც დავით კურაპალატი მოიხსენიება „ქართველთა მეფედ“ არის ათონის მთაზე გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერი. „ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში ექვსჯერაა ნახსენები დავითი, ოთხჯერ, როგორც „ქართველთა მეფე“, ხოლო ორჯერ – როგორც „მეფე“. ქართველთა მეფე, რომელიც ექვთიმე ათონელის დროს ცხოვრობდა ... დავით კურაპალატია.“ ზ.პაპასქირის აზრით, „ანდერძ-მინაწერთა ავტორი, ამ შემთხვევაში, „ქართველთა“ მეფეს ხმარობს უბრალოდ ქართველების (ან შეიძლება, საერთოდ, საქართველოს, რადგან ის მას ქართული სამყაროს მესვეურად მიაჩნია) მეფის გაგებით და მასში არ აქვს ჩადებული ის პოლიტიკური შინაარსი, რომელიც გააჩნდა „ქართველთა მეფის“ ტიტულს X ს. II ნახევარში.“

ვინ გახდა „ქართველთა მეფე“ 994 წელს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში, ჩვენი აზრით, დაგვეხმარება იმის გარკვევა, თუ ვისგან მიიღო ბაგრატ III-ემ ქართველთა მეფის ტიტული.

თუ ბაგრატი ქართველთა მეფე 1008 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ გახდა, მაშინ სავარაუდოა, რომ თავად გურგენმა ეს ტიტული თავისი მამისგან, ბაგრატ II-სგან მიიღო 994 წელს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში დავით კურაპალატს ქართველთა მეფედ ვერ მივიჩნევთ.

თუ ბაგრატმა ქართველთა მეფის ტიტული 1001 წელს მიიღო, მაშინ მამამისის გურგენის „ქართველთა მეფობაა“ გამორიცხული და, სავარაუდოდ, ბაგრატმა ტიტული მამობილისგან, დავით კურაპალატისგან მიიღო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ორივე მოსაზრება არსებობს. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ბაგრატ III-მ ქართველთა მეფის ტიტული დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, 1001 წელს მიიღო. სხვანი კი დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მფლობელად გურგენს მიიჩნევენ და ბაგრატ III-ის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღებას 1008 წლით ათარიღებენ.

თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის“ ტიტული მხოლოდ 1008 წელს, მამის – გურგენის გარდაცვალების შემდეგ მიიღო.

პ.ინგოროყვა გურგენს ქართველთა მეფეთა მეფეს უწოდებდა.

ნ.ასათიანის აზრით 1008 წლამდე ქართველთა მეფე გურგენი იყო. „1008 წელს ბაგრატის მამა გურგენ მეფე გარდაიცვალა ... ამის შემდეგ ბაგრატი იწოდებოდა „აფხაზთა და ქართველთა“ მეფედ“.

შ.ბადრიძეს მიაჩნდა, რომ „ქართველთა მეფე 958-994 წწ. იყო ბაგრატ რეგუენი, ხოლო მას შემდეგ სახელმწიფოს სიუზერენად 994-1008 წწ. მმართველობდა მისი ძე გურგენი“.

ქ.ნადირაძე ეთანხმება მოსაზრებას გურგენის მიერ 994-1008 წლებში „ქართველთა მეფის“ ტიტულის ფლობის შესახებ.

ლ.თავაძე იზიარებს თვალსაზრისს, რომ ქართველთა მეფის ტიტული ბაგრატ III-მ 1008 წელს, მამის – გურგენის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. „გურგენის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატი ოფიციალურად იწოდა „აფხაზთა და ქართველთა მეფედ და კურაპალატად“, ხოლო გურგენის სიკვდილამდე ის თავს „აფხაზთა მეფედ და ქართველთა კურაპალატად“ თვლიდა. ამით ხაზი ესმეოდა იმას, რომ „ქართველთა მეფე“ სწორედ გურგენი იყო.“

ჩვენ იმ მოსაზრებას ვეთანხმებით, რომ გურგენ მეფეთ მეფე არასდროს „ქართველთა მეფის“ ტიტულს არ ფლობდა. ამას ადასტურებს რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი.

1006 წელს გურგენ მეფეთ მეფემ, იშხანში, კათედრალური ტაძრის სამხრეთით, პატარა სამლოცველო ააგო. წარწერა იუწყება: „სახელითა ღმრთისაითა მე გურგენ მეფეთ მეფემან აღვაშენე ესე წმიდაი ეკლესიაი სახელსა ზედა წმიდისა ღმრთისმშობელისასა სალოცველად სულისა ჩემისა. წმიდაო ღმრთისმშობელო, ტალავარ მექმენ დღესა მას სასჯელისასა ... ქრონიკონ იყო სკვ“. გურგენი მოიხსენიება მხოლოდ მეფეთ მეფედ. ჩვენ თავად ვაღიარებთ, რომ არაა აუცილებელი პიროვნება წარწერაში ყველა ტიტულით იყოს წარმოდგენილი. ამ წარწერასთან დაკავშირებითაც შესაძლებელი იქნებოდა იგივეს გამეორება, რომ არა სხვა წარწერათა მონაცემებიც.

ბაგრატის ტაძრის 1001-1008 წლების წარწერა – „მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფ(ჱ) თანა მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით, ამინ“. წარწერის შინაარსიდან ნათლად ჩანს, წარწერის შექმნის დროს ბაგრატის მამა, გურგენი ცოცხალია. მიუხედავად ამისა „ქართველთა მეფის“ ტიტულით ბაგრატია მოხსენიებული. გამოდის, რომ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ბაგრატი უკვე იყო ქართველთა მეფე. ცხადია, ბაგრატ III-ს „ქართველთა მეფის“ ტიტული გურგენის გარდაცვალების შემდეგ არ მიუღია.

ყველაზე მნიშვნელოვანია ხცისის წარწერა – „სახელითა ღმრთისაითა მე გლახაკმან ანანია ვიწყე შენებად წმიდასა ამას ეკლესიასა საყოფელსა წმიდაჲსა ნათლისმცემლისასა სალოცველად ადიდენ ღმერთმან ძლიერისა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და ძისა მათისა გიორგი უფლისწულისას და მეფისა ჩუენისა და სახსრად ცოდვილისა სულისა ჩემისათუის და მოსახსენებლად სულისა მშობელთა და მამათა ჩემთათვის ქორონიკონ იყო სკბ“. წარწერა შესრულებულია 1002 წელს და მასში ბაგრატი მოიხსენიება აფხაზთა და ქართველთა მეფედ.

აშკარაა, ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის“ ტიტული ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მიიღო. ამიტომ გურგენ მეფეთ მეფის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის ფლობა გამორიცხულად მიგვაჩნია.

ვინ გახდა ქართველთა მეფე 994 წელს გარდაიცვლილი ბაგრატ II-ის შემდეგ? ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, არსებობს ორი შესაძლებლობა: პირველი – ქართველთა მეფე გახდა დავით კურაპალატი. მეორე – ეს ტიტული მიიღო ბაგრატ III-მ (თეორიულად შეიძლება დავუშვათ, რომ 994-1001 წლებში „ქართველთა მეფის“ ტიტულს არავინ ფლობდა, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი რამ გამორიცხულად მიგვაჩნია).

შეეძლო თუ არა დავით კურაპალატს 994 წელს მიეღო „ქართველთა მეფის“ ტიტული? ამ კითხვაზე საპასუხოდ ჯერ უნდა გავარკვიოთ თუ რა დამოკიდებულებაა ამ დროს დავითსა და იმპერატორ ბასილი II-ს შორის. დიდი დრო არ იყო გასული ბარდა ფოკას აჯანყებიდან (987-989 წლები), როდესაც დავითმა ფოკას მხარე დაიჭირა და იმპერატორს დაუპირისპირდა. ფოკა დამარცხდა. დავითმა თავი იმით გადაირჩინა, რომ იმპერატორს დამორჩილდა და ანდერძი დაწერა, რომლის თანახმადაც სიკვდილის შემდეგ მთელ თავის სამფლობელოს იმპერატორს უტოვებდა. სწორედ ამის შემდეგ იმპერატორმა მას კურაპალატობა უბოძა. ამის შემდეგ დავითი აგრძელებს აქტიურ პოლიტიკას, აძლიერებს თავის გავლენას, ზრდის სამფლობელოს ტერიტორიას, მაგრამ აღარ უპირისპირდება იმპერიას (ეს სრულიად უაზრო ნაბიჯი იქნებოდა). შესაძლოა, ასეთ ვითარებაში დავითის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღება კონსტანტინოპოლში აღქმული ყოფილიყო ანტიბიზანტიურ ნაბიჯად. ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც დავითი იყო ამაზე შესაძლოა არ წასულიყო. ამიტომ გამორიცხული არაა, რომ X საუკუნის ბოლო ათწლეულში შექმნილი საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, ბიზანტიასთან ურთიერთობის გაფუჭებისა თუ არა, დაძაბვის საფრთხის გამო მაინც, დავით კურაპალატს 994 წელს „ქართველთა მეფის“ ტიტულს არ მიეღო.

994 წელს ბაგრატ III-ს იმპერიასთან დაპირისპირება არ აქვს (მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ 989 წელს ბაგრატსა და დავითს შორის მომხდარი კონფლიქტის ინსპირატორი ბიზანტია უნდა ყოფილიყო. კერძოდ ბასილი II, რომელმაც ბაგრატი მამობილის წინააღმდეგ წააქეზა). ბიზანტია ბაგრატის სამფლობელოებს არ ესაზღვრება. ბაგრატისთვის „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღება მას არანაირ პრობლემას არ უქმნიდა.

ყოველივე ზემოთ თქმული თითქოს მხარს უჭერს ზ.პაპასქირის მოსაზრებას, მაგრამ რჩება ათონის ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები. ჩვენ ვფიქრობთ, ცოტა ძნელია იმის მტკიცება, რომ დავითი არ იყო „ქართველთა მეფე“, მაშინ როდესაც ის ოთხჯერ არის ამ ტიტულით მოხსენიებული. ზ.პაპსქირისეული ახსნა კი ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია. არა გვგონია, რომ იმ დროს, როდესაც „ქართველთა მეფე“ რეალური ტიტული იყო ვინმეს ის გამოეყენებინა ზოგად ფრაზად და მასში რაღაც სხვა, განსაკუთრებული შინაარსი ჩაედო. რაც შეეხება ზ.პაპასქირის შენიშვნას, იაჰია ანტიოქიელის მიერ 988-990 წლების ამბების თხრობისას დავითის „ქართველთა მეფედ“ მოხსენიების შესახებ, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს დავითის მიერ აღნიშნული ტიტულის ფლობას. იაჰიამ იცის, რომ დავითი იწოდებოდა „ქართველთა მეფედ“ და ასეც მოიხსენიებს მას. ზუსტად როდის მიიღო დავით კურაპალატმა „ქართველთა მეფის“ ტიტული იაჰია ანტიოქიელს შეიძლება არც სცოდნოდა და თუ იცოდა, შესაძლოა თხრობისას ამისთვის ყურადღება არც მიექცია. მისთვის ხომ მთავრი ის იყო, რომ დავითი იწოდებოდა „ქართველთა მეფედ“ (ანალოგიური ვითარებაა, როდესაც 975 წლის ამბების თხრობისას ქართველი მემატიანე დავითს კურაპალატობით მოიხსენიებს, მაშინ როდესაც მას ეს ტიტული ჯერ არ აქვს).

ჩვენ ვიზიარებთ ნ.შოშიაშვილის მოსაზრებას, დავით კურაპალატის მიერ 994-1001 წლებში „ქართველთა მეფის“ ტიტულის ფლობის შესახებ[1].

1001 წელს კი „ქართველთა მეფე“ უკვე ბაგრატ III გახდა.

ჩნდება კითხვა, რატომ მიიღო „ქართველთა მეფობა“ ბაგრატმა და არა მისმა მამა გურგენმა? ჩვენი აზრით, პასუხი მარტივია. ბაგრატი უკვე არის „მეფე აფხაზთა“. სწორედ მან უნდა გააერთიანოს საქართველო. სწორედ მან უნდა გააერთიანოს ყველა ტიტული. გურგენის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღება კი ამ პროცესს ეწინააღმდეგება, აფერხებს. ეს ყველაფერი კარგად ესმის გურგენს, რომელიც ყოველთვის გვედში უდგას შვილს და მისი ერთგული თანამებრძოლია. ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა, რომ „ქართველთა მეფე“ ბაგრატი გამხდარიყო და გურგენი ალბათ პირველი იყო ვინც ამას მხარი დაუჭირა.

ჩვენი აზრით, ქართველთა მეფის ტიტულ ფლობდნენ: ადარნასე დავითის ძე (888-923), დავითი ადარნასეს ძე (923-937), ბაგრატ ადარნასეს ძე (937-945), ბაგრატ II რეგუენი (958-994), დავით კურაპალატი (994-1001), ბაგრატ III (1001-1014).

როგორც უკვე აღვნიშნეთ X საუკუნის ბოლოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში მეფეთ მეფის ტიტული ჩნდება.

ექ.თაყაიშვილის აზრით, მეფეთ მეფედ პირველად გურგენი იწოდა.[2]

მ.ლორთქიფანიძე თვლის, რომ „ქართველთა მეფეებში“ პირველად ბაგრატ III-ის მამის, გურგენის ტიტულატურაში ჩნდება „მეფეთ-მეფე“, რაც, სუმბატის თქმით, მისი შვილის, ბაგრატის მეფობითაა განპირობებული.„[3]

ლ.თავაძე პირველ მეფეთ მეფედ დავით კურაპალატს მიიჩნევს. „პირველი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ამ ტიტულით სწორედ დავითი იწოდება. მეფეთ მეფის ტიტული ჯერ სომხეთში გაჩნდა, როდესაც აშოტ I-მა არაბეთის ხალიფას მხარდაჭერით შაჰან შაჰად გამოაცხადა თავი. სომხეთი ისწრაფოდა რეგიონში პირველობა მოეპოვებინა ... სწორედ სომხეთის წამყვანი პოზიციების ჩანაცვლებას ისახავდა მიზნად დავითის მიერ ახალი ტიტულის მიღება.„[4]

საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია 973 წლის პარხლის სახარების ერთი მინაწერი - „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებლად ღუთივ გჳრგჳნოსანისა მეფეთა მეფისა, ადიდენ ღმერთმან, ღუთივ დამყარებულისა დავით მაგისტროსისა“.[5] თითქოს ყველაფერი ნათელია. საინტერესოა, რომ დავითი მოიხსენიება მაგისტროსად. ჯერ არ ფლობს არც კურაპალატობას და არც ქართველთა მეფობას (ქართველთა მეფე ამ დროს ბაგრატ II არის). ანუ ეს ხდება მისი მოღვაწეობის დასწყისში. ჩნდება კითხვა, რამ განაპირობა მის მიერ მეფეთ-მეფის ტიტულის მიღება? ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დავითის მოხსენიება მეფეთ-მეფედ მხოლოდ მინაწერის ავტორის პირადი ინიციატივაა.

მსგავსი მაგალითები არსებობს. მაგ. გერგეტის სულთა მატიანეში ყვარყვარე IV ჯაყელი (1451-1498 წწ.) ათაბაგთა-ათაბაგად იწოდება - „სული ათაბაგთა ათაბაგისა ყუარყუარესი“. ოფიციალურად ათაბაგთა ათაბაგის არც თანამდებობა არსებობდა და არც ტიტული. ყვარყვარე ჯაყელის მოხსენიება ათაბაგთა ათაბაგად მხოლოდ მისი განდიდებს მიზნით უნდა მომხდარიყო;

ჩვენი აზრით, მსგავსი ვითარებაა საგულვებელი დავითის მეფეთ-მეფობასთან დაკავშირებითაც. ეს იყო ერთი კონკრეტული პირის პირადი ინიციატივა და მიზნად ისახავდა დავითის განდიდებასა და წარმოჩენას. ყოველ შემთხვევაში დავითის მოხსენიება მეფეთ-მეფედ გამონაკლისია, ეს არ გამხდარა ტრადიაცია და ტიტული „მეფეთ-მეფე“ იმ დროს ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა ბაგრატიონთა საგვარეულოში. თუ დავითი მეფეთ-მეფე იყო, მაშინ მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ტიტულიც ბაგრატ III-ს უნდა გადასცემოდა. ასეთი რამ კი არ ფიქსირდება.

გაგრძელება იქნება

1 ც.ქურციკიძე გვ. 120 (მკვლევარი ეყრდნობა 1997 წელს თსუ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე ნ.შოშიაშვილის მიერ წაკითხულ მოსენებას - „IX-X სს. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ზოგიერთი ქრონოლოგიური საკითხი“, რომელსაც ჩვენ ვერ მივაკვლიეთ).

2 Е.Такаишвили გვ. 42

3 მ.ლორთქიფანიძე, სამეფო (ტაო-კლარჯეთი), საქართველოს ისტორია ტ. II 1973 წ. თბ. გვ. 452

4 ლ.თავაძე გვ. 99-100

5 თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისაშეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი. წიგნი I 1892 წ.ტფ. გვ. 95

ხალხურ-ეროვნული ფიქრები

მესხეთ-ჯავახეთის ტრაგედია ჯერაც არ დასრულებულა. ოსმალთა შემოსევისაგან გადმოხვეწილი ხალხი შეხიზნულია ეხლა უკვე თოვლიან ბორჯომის ტყეებში და უცდის როდის გაიხსნება გზა, როდის ეღირსება მშობლიურ ქოხში მისვლა, რომ დაამოს ყინვისაგან დამზრალი ძვლები, უშველოს თავის ორიოდ პირმშოს, რომელნიც რაღაც განგებით ჯერ კიდევ გადარჩენიან საშინელ განცდას, მაგრამ ამაოა ლოდინი. დღითი-დღე ესალმებიან წუთი სოფელს უკანასკნელი მესხები და ჯავახელები, განაწამები ლტოლვილთა სული, სამშობლოსკენ რომ მიისწრაფის, სტოვებს ბორჯომის ტყეებში თავის ჩონჩხათ ქცეულ სხეულებს და მრავლდებიან ყოველ დღე ძმათა საფლავები, თითქო ომი ყოფილა, დაუნდობელი ომი და შთამომავლობას მოწამეთ ამ ომისა რჩება დაუსრულებელი აკლდამები ტყეში გაჭრილ საფლავებისა.

რჩებიან ობლები, უპატრონო ობლები. გუშინ მათ მშობლები ეხვიათ გარს, თვალცრემლიანი მშობლები. უიმედო ბავშვს აკანკალებს სიცივისაგან და ღონე მიხდილს შიმშილისაგან, დედა მაინც მიიკრავდა მშობლიურ გულზე, ალერსით დაატკბობდა მწარე ტკივილებს; ამაყი მამა, რომელსაც არ უყვარს თავის მოხრა გაჭირვებისათვის, ეტყოდა ნუგეშს, მარა დღეს ვინ უნდა უპატრონოს ობლებს, რომელთაც დაკარგეს დედები და მამები; დარჩნენ ტყეებში და ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია ბავშვური მოთქმა, ვისაც ძალუძს ცრემლთა ფრქვევა, სტირიან, ევედრებიან ყველას.

მიდიხარ ბაკურიანით ახალქალაქის გზაზე, რომელიც მოკირწყლულია ცხოველთა ძვლებით და გასწვრივ კი მას ამშვენებს დაუსრულებელი ჯვრები უპატრონოთ დახოცილთა. ეს სამგლოვიარო არშიაა იმ ტანჯვით სავსე გზისა, რომელზედაც გაიარა აოხრებულმა მესხეთმა და ჯავახეთმა.

ვინ იცის რამდენი ძველი საფლავია ამ საფლავთა ქვევით. აქ ხომ საუკუნოების განმავლობაში იღუპებოდა მესხეთის კულტურა, ბარბაროსის ხელი კლავდა ხალხის სიცოცხლეს და მომავალს უტოვებდა მხოლოდ ნანგრევებს და ახლა საფლავები კი მხოლოდ განახლებული ცრემლია უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში პირწამშრალ საფლავებისა.

და აი, ამ გლოვით სავსე მხარეში საფლავებს შორის, ვით მოჩვენება დაძრწიან ობლები, ტიტველი, მშიერი ობლები. ოდეს მგზავრი გაივლის აქ, ხელაპყრობით მივარდებიან მას და სთხოვენ დახმარებას, შველას.

ობოლი ბავშვი დაეძებს დედას, ეძახის მამას.

ყრუა საფლავები ამ წმინდა გამოძახილზე. შეიძლება ობოლი ბავშვიც გრძნობს, რომ ვერ გაიგონებს ამ მწუხარე ხმას მისი დედის ჩონჩხი, ვერ იგრძნობს მისი აღმზრდელი ძუძუს პირმშოს ტანჯვას, მაგრამ ობოლი ეძახის სხვა დედას, ის მოუხმობს პატრონს.

მაგრამ თუ გინდათ უფრო ძლიერათ იგრძნოთ ეს მწუხარება, თუ გინდათ უფრო გაიგოთ დაღუპული ხალხის უბედურება, გაჰყევით ბორჯომით აწყურის გზას. მუხლები მოგეკეცებათ, ხმას ვერ ამოიღებთ. გეშინიათ არ შეარხიოთ საშინელი ჭრილობები ამ უბედურ ხალხისა. აი მოხუცი, ყავარჯნით ხელში ძლივს მიაბიჯებს, მკვდარის სურათია მისი სახე და ვერც ახერხებს ლაპარაკს, მაგრამ მაინც უნდა გითხრას „ბღარებზე“, უპატრონო ობლებზე.

– უშველეთ ამ ბღარებს მაინც, იქნებ მომგონებელი მაინც დარჩეს უბედურ მესხეთსა და ჯავახეთს – ამბობენ გზირათ ქცეული ქალები და კაცები.

და ყველა ამ ადგილებიდან თავს უყრიან ობლებს ბაკურიანის თავშესაფარში. ექიმი გულისაშვილი და ჟორდანია დაეძებენ ტყეებში მათ და დღეს ერთ ბინაზე 100 ობოლი ყავთ, რომელთაც გულმოდგინეთ უვლის, როგორც თვის პირმშო შვილებს, მოწყალების და.

აწყურის რაიონშიც ამდენივე მოგროვდა. ისინიც უნდა გავამგზავროთ ბაკურიანის თავშესაფარში, მაგრამ ეს ვერ უშველის ობლებს. საჭიროა მათთვის მშობლების, მუდმივი მზრუნველის მონახვა. უნდა შევასრულოთ მოხუცის თხოვნა: „მესხ ჯავახელებს მომგონებლები მაინც აღუზარდოთ“.

ობლების მშობლები დღეს მთელი საქართველოა. ჩვენ უნდა მივიკრათ გულზე უპატრონო ბავშვები, უძუძურს ძუძუ ვაწოვთ, ხოლო შკოლის კარსმოწყვეტილს განათლების ტაძრებში ბინა მივსცეთ.

ბაკურიანში უკვე ყინვებია. თავშესაფარს სახსარი არა აქვს. საჭიროა სახელმწიფომ მიიღოს თავზე ობლების აღზრდა.

ჩვენ ყველაფრის მივიწყება ვიცით, ვიგრძნობთ ერთხელ, ცრემლებს დავღვრით, მარა შემდეგ კი დაგვავიწყდება უპატრონონი, უფრო დიდი საქმეები დაჩრდილავს პატარა ობლებს, მაგრამ მომავლის ძლიერ მოციქულებს რაც უნდა დიდი საქმე გექნეთ, მოქალაქენო, რაც უნდა გაჭირვება გადგეს საქართველოს მთავრობავ, ნუ დაივიწყებთ, რომ ბაკურიანში 200 ობოლია, უპატრონო ობოლი, რომელნიც გთხოვენ დახმარება აღზრდას, რომ გამშვენიერებულნი დაუბრუნდნენ თავის საყვარელ მესხეთს და ის ნანგრევებიდან აღადგინონ.

ლ.რ-ძე

„ერთობა“, 1918 წელი, N248

ფოლკლორი

ოქროღლი ქალი

ქოროღლი ყაზაღად იყო გავარდნილი. თეთრი ცხენი ჰყავდა. იმ ცხენზე რომ დაჯდებოდა, ფრინველივით ფრინავდა. ამხანაგები იშოვნა. თავის რაზმში 3370 კაცი შეაქუჩა. ეცემოდა თავრობას, ხაზინებს, ხემწიფეებს ეჩხუბებოდა. ბევრი სიმდიდრე შეაქუჩა.

ქოროღლის მთაა, გოდორას ეძახიან. იქ ყოფილა ქოროღლის ბანაკი. ახლაც არის მისი ნაშთები შემორჩენილი. ქოროღლის ერთი აშუღი ჰყავდა, იმას აგზავნიდა აქეთ-იქით ამბის გასაგებად.

ურუმეთში წავიდა ჯულულ-აშუღი და დაიგვიანა ამან. იქა ჯავაირ-ფაშა იყო. იმას ყავდა და – თელი-ხანუმი. უთქვამთ, რომ ჩარდადხლი-ჩამლი პირიდან მოსულა აშუღიო. ქალს უთქვამს: აბა მოიყვანეთ, რა აშუღი ჰყამს ქოროღლისო. რომ მოსულა, უთქვამს, რო იმღერეო.

ამ აშუღსაც უმღერია თათრულად ქოროღლის ამბავი (სიმღერის ქართული თარგმანი თვით მთქმელმა ჩამაწერინა სიტყვა-სიტყვით):

გმირი ხალხიო იემენიდან და ყველა მთავრობიდან ღალას იღემსო,

აიღემდა საჩუქრათა, – ყველა თავრობიდან საჩუქარს უგზავნიდნენ ქოროღლის,

იერიშზე რო მივაო, იმის ჯარს წინააღმდეგობას ვერავინ ვერ უწევსო,

ბევრი ხალხი მონებსო და ბევრ უფროსსაო შებოჭავს და დაატყვევებს ბრძოლაშიო.

ყველა კამპანიაზე და ქეიფზე სამიათას სულ ბატკანს კლავსო,

ბრინჯის ფლავსა და ლავაშ პურს არიგებსო, მე მინდა რომ გაგაცნო იმის ამბავიო, სადაც რო ლამაზ ქალს დაიგულებს, აუცილებლად წაართმევს და წაიყვანსო.

თელი თა და ბარი დამონებული ყავსო,

ყველაფერი ხელში ჩაუგდიაო.

მაშინ დასწერამს თელი-ხანუმი წერილს, რომ თუ ასეთი კაცი ხარ, მოდი და წამიყვანეო.

ქოროღლიმ როცა შეიტყო ეს, უთხრა თავის ყაჩაღებს, – ვინ გაბედანს და წავა ურუმ-ხანუმის წამოსაყვანადო. ვერავინ გაბედა. მერე გამოვიდა მჭედლიშვილი და თქვა, – მე წავალო. მივიდა. შესულა ყავახანაში. 300 კაცი იჯდა, არც სალამი-მალამი მისცა. მდევივით კაცი იყო, ხმალი ჰქონდა გვერდით. ლექსები თქვა, თავისი ამბავი შეატყობინა.

მისულა ქალთან მერე და წამოუყვანია უბრძოლველად. მიუყვანია ერთ ადგილზე და მაღაროში დაუტოვებია, მხოლოდ უთქვამს: შენი ასე უბრძოლველად წამოყვანა არ მინდაო, მე უკან დავბრუნდები, შენ საღამომდე აქ დამელოდეო.

წამოსულა და პირდაპირ მამამისთან მისულა. შეატყობინა ყველაფერი. მამამისს დაჭერა მოუნდომებია, მაგრამ ამ მჭედლიშვილს ახლოს არავინ მიუშვია.

მთელ ჯარს მარტო ებრძოდა და ბრძოლაში დაჭრილა. მაინც ლომივით იბრძოდა.

ქოროღლიმ სიზმარი ნახა. მას ერთი ბეჭედი ჰქონდა და ის ბეჭედი სისხლშია. მაშინვე თქვა: ვიღაც ჩვენ გაგზავნილ კაცს უჭირსო. 300 კაცი მოაგროვა და წავიდა დასახმარებლად. მიუსწრო ამ მჭედლიშვილს და გამოიყვანა დაჭრილი. მან უამბო, ქალი სად ყავდა დატოვებული და ახლა შენ წაიყვანეო. ქოროღლის გაჰკვირვებია და უთქვამს: ვაჟკაცი ყოფილხარ, ქალი ბრძოლით შენ წამოგიყვანია და შენვე გეკუთვნისო. მჭედლიშვილს უარი უთქვამს, მე არ მეკუთვნისო, მაგრამ ბოლოს მაინც მას წაუყვანია და ქორწილიც გადუხდია.

მთქმელი ზაქარია (შაქრო) დიმიტრის ძე ზარიძე, *73 წლის, ასპინძის რაიონი სოფელი თოკი. ჩაიწერა* სიმონ ჯაფარიძემ *1965 წელს*

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის ივლისის ნომერში (გვ,9) ვაჟა სამსონიძის წერილში – „მშობლიური ქალაქის სიყვარულით“, გაიპარა უნებლიე შეცდომა – ნაცვლად მიხეილ პოვოზიანისა უნდა ეწეროს მიხეილ პივოზიანი, რაზედაც რედაქცია ბოდიშს უხდის ავტორს.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე

სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit.meskheti@gmail.com lit – meskheti@yahoo.com